



ბათუმის უნივერსიტეტი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზათი №5. მაისი. 2015.

იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტთა სამართლებრივი ცნობიერების ზრდასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებას. თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდება საჯარო ლექციები, განხორციელდება ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტები და პროგრამები. მემორანდუმს ხელი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებული პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და იუსტიციის უმაღლეს სკოლის დირექტორმა ლაშა მალრადემ მოაწერეს.



სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ოლიმპიური ცეცხლის მიღების ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ოლიმპიური ცეცხლის მიღების ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა. ოლიმპიური თამაშების მთავარი სიმბოლო საბერძნეთში, ათენის „პანათი-ნაიკოსის“ სტადიონზე აინთო და ბათუმის აეროპორტში სპეცთვითმფრინავით ჩამოიტანეს. ესტაფეტაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სპორტმენებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, საპატიო ბათუმელებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. ოლიმპიურმა ცეცხლმა აეროპორტის გზატკეცილი, ლეხ და მარია კაჩინსკის, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩები, რუსთაველის გამზირი, გოგებაშვილისა და ფარნავაზ მეფის ქუჩები გაიარა და პიაცას მოედანზე ვეტერანმა ფეხბურთელმა რევაზ ჩელეძემ მიიტანა.



ღვიძლის გაღანერგვის პირველი ნარმატებული ოპერაცია საქართველოში

საქართველოში, პირველად ბათუმში გაკეთდა ინოვაციური ტექნოლოგიებითა და ქირურგიული კლასით ყველაზე რთული ღვიძლის გაღანერგვის ნარმატებული ოპერაცია. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, ახალი ტექნოლოგიებით მომუშავე ბათუმელი ექიმების შემოქმედებითი ნიჭის, ქართული გენის, გონისა და ტალანტის გაელვება. აზრი იმის შესახებ, რომ ასეთი ურთულესი და უძნელესი ოპერაციების გაკეთება მხოლოდ საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებსა და საავადმყოფოებშია შესაძლებელი შეიცვალა. ჩვენმა ხელმძღვანელმა დასტაქრებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ნიჭიერებით, ინტელექტით, ერუდიციით, განსწავლულობითა და პროფესიონალიზმით არ ჩამოუარდებიან, ტოლს არ უდებენ სხვა ქვეყნებში მომუშავე კოლეგებს. და თუ აქამდე ჩამოვრჩებოდით და დღეს კიდევ მედიცინის სხვადასხვა სფეროში კვლავაც ჩამოვრჩებით ეს უპირველესად თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზის, სათანადოდ აღჭურვილი სამეცნიერო-კვლევითი და სამკურნალო დაწესებულებების არ ქონის გამო.

ღვიძლის ტრანსპლანტაციის საკითხებთან დაკავშირებით სასუბროდ არაერთხელ ვენავი საავადმყოფოში ამ უნიკალური ოპერაციის ინიციატორსა და ორგანიზატორს, ერთი წლის განმავლობაში სპეციალურად გადაზიდულ სპეციალისტების გუნდის ხელმძღვანელს, რეფერალური საავადმყოფოს ქირურგიის დეპარტამენტის თავკაცს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კახა ქაშიბაძეს. ყოველი მცდელობა საუბრისა უშედეგო აღმოჩნდა. რჩეულთა შორის რჩეული ქირურგი ყოველთვის დაკავებულია. იგი ან ოპერაციას აკეთებს, ან ავადმყოფებთანაა და ან თათბირზე იმყოფება. გამოსავლის საპოვნელად შეხვედრა უნივერსიტეტში დავთქვით. აქ კი გამიმართლა, რადგან აქაც დროით შეზღუდულმა შემომთავაზა ლექციაზე დავსწრებოდი. ლექცია-პრაქტიკული კი ზუსტად ღვიძლის ქირურგიის საკითხებს, მის სრულყოფას ეძღვნებოდა.

გავუსწრებ სათქმელს და ვიტყვი, რომ როგორც სტუდენტებს, ასევე მეც უნიკალური შესაძლებლობა მომეცა მომესმინა და მენახა ღვიძლის გაღანერგვის მსოფლიო და ქართული ისტორია. გამოცდილმა ქირურგმა საუბარი უძველესი ინდური, ჩინური და სხვა წყაროების მიმოხილვით დაიწყო. კა-

ცობრიობის უძველესი ისტორია, - თქვამან, - მოგვითხრობს პირველი ტრანსპლანტაციის მცდელობებზე, რომელთა ჭეშმარიტება და სარწმუნოობა შორსაა რეალობიდან, მაგრამ პირდაპირ მიუთითებს ადამიანის აზროვნების მისწრაფებებზე და შესაძლებლობებზე. რაც სინამდვილეში მედიცინის და უპირველესად თანამედროვე ქირურგიის მწვერვალს წარმოადგენს და რეალობად მხოლოდ მე-20 საუკუნის შუა პერიოდისათვის იქცა. საინტერესოდ და შთამაგონებლად ისაუბრა ტრანსპლანტაციის პირველ მაგალითებზე. კარგად წარმოაჩინა ქირურგიის განვითარების ეტაპები. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 1902 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში Emerich Ullmann-მა პირველად კაცობრიობის ისტორიაში ექსპერიმენტალურად გაღანერგა ძალში თირკმელი. ხოლო რამოდენიმე წლის შემდგომ 1906 წელს საფრანგეთში, კერძოდ პარიზში ქირურგმა Mathieu Jaboulay-მ ორი თირკმლის უკმარისობით მომაკვდავი პაციენტები მხრის არტერიებით მიუერთა ღორის და ცხვრის თირკმლებს. მართალია ეს იყო ქსენოტრანსპლანტაციები, მაგრამ პირველი ტრანსპლანტაციის მცდელობები კაცობრიობის ისტორიაში. პირველი გვამური ტრანსპლანტაცია 1936 წელს იყო წარმოებული თირკმლის მწვავე უკმარისობის სამკურნალოდ, რაც ვერცხლისწყლით მონამვლით იყო გამოწვეული, მაგრამ პაციენტი 2 დღის შემდგომ გარდაიცვალა. პირველი წარმატებული თირკმლის ტრანსპლანტაცია კი მხოლოდ 1954 წლის 23 დეკემბერს ქ. ბოსტონში Peter Bent Brigham-ის ჰოსპიტალში Joseph Murray-ის, John Merrill-ის, Hartwell Harrison-ის და მათი გუნდის მიერ. ეს იყო მსოფლიოში პირველი წარმატებული ტრანსპლანტაცია, როდესაც დონორიც თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობდა და რეციპიენტიც თირკმელი შარდს გამოყოფდა.

ისტორიული პირველი მცდელობები ღვიძლის ტრანსპლანტაციისა ძალღებში ეკუთვნის Albeny-Si Welch-ს (1955 წელს) და California-ში Cannon-ს (1956 წელს). 50 წლების ბოლოს და 60 წლების დასაწყისში ორი დიდი ცენტრი სწავლობდა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ტექნიკურ შესაძლებლობებს. ესენი იყო T. Starzl-ის ხელმძღვანელობით Denver-ში და Moore-ეს ხელმძღვანელობით Boston-ში. 1 მარტს T. Starzl-მა პირვე-

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)



თანამშრომლობის გამორანდუმი ევროპულ ახალმეცნიერებს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ევროპული აკადემიის რექტორმა ლაშა ნარსიამ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება მიზნად ისახავს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სამეცნიერო კვლევების წარმოებას, პროფესორ-მასწავლებლების სტაჟირებასა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელებას. მემორანდუმის ფარგლებში გაიმართება კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და საზაფხულო სკოლები. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ სასწავლო უნივერსიტეტის ევროპული აკადემიის რექტორი დელეგაციის წევრებთან ერთად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორიას, სასწავლო პროგრამებს, ფაკულტეტებს, საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას გაეცნო.



bsu.edu.ge

უნივერსიტეტს თურქი მწერლები ეწვივნენ

ორგანიზაცია „ქიბათეჟის“ ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს თურქი მწერლები და პოეტები ეწვივნენ. სააქტო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე სტუმრებმა პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, აჭარის მწერალთა კავშირის წევრებს, საზოგადოების წარმომადგენლებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს და საქართველო-თურქეთის მეზობლურ ურთიერთობებზე ისაუბრეს. ღონისძიების დასასრულს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა თურქულ ენაზე ლექსები წაიკითხეს.



სტუდენტური დღეები აჭარა -2015

„სტუდენტური დღეები აჭარა 2015“-ის გამარჯვებული ნომინაციაში „მის სტუდენტი“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტი ლოლიტა ცინცაძე გახდა, ხოლო ბსუ-ს ფუტსალის ნაკრებმა პირველობა სპორტულ აქტივობაში მოიპოვა. სტუდენტური დღეები აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა და მასში ხუთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობდა. დასკვნითი ღონისძიება ბათუმის საზაფხულო თეატრში ჯგუფ „გამოუვალი მდგომარეობის“ კონცერტით დასრულდა.



შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2014 წლის სამეცნიერო გრანტების და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში გამარჯვებული პროექტების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან შეხვედრა გაიმართა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნათია წიკლაშვილმა კონკურსანტებს გამარჯვებულ მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. წელს საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში გამარჯვებული მოიპოვა ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებლების, მკვლევარებისა და დოქტორანტების ცხრა სამეცნიერო პროექტმა და სამმა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ.



სორმა მერაბ ხალვაშმა და რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნათია წიკლაშვილმა კონკურსანტებს გამარჯვებულ მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. წელს საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსში გამარჯვებული მოიპოვა ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებლების, მკვლევარებისა და დოქტორანტების ცხრა სამეცნიერო პროექტმა და სამმა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ.

უნივერსიტეტის საპატიო დოქტორა დომენია ხასაბ-თაგორამ საჯარო ლექცია წაიკითხა



bsu.edu.ge

ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა დომენია ხასაბ-თაგორამ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „მუზეუმების ისტორია საუკუნეების მანძილზე“. მომხსენებელმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მუზეუმისა და მუზეოლოგიის კონცეფცია გააცნო. ისაუბრა მესოპოტამიაში პირველი მუზეუმის შექმნის, პირველი საზოგადოებრივი ვატიკანისა და რენესანსის პერიოდის კაპიტოლიუმის, XVI-XVII საუკუნეების საოცრებათა კაბინეტისა და განმანათლებლობის ხანის ენციკლოპედიის მუზეუმების ისტორიაზე. ცნობილია მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ასევე პოსტმოდერნული მუზეუმებისათვის დამახასიათებელ მენარმეობისა და მარკეტინგის იდეაზე. საჯარო ლექცია აჭარის არ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელმძღვანელებმა“ ქვეპროგრამების ფარგლებში ჩატარდა.

ბრანდენბურგის მიწის პარლამენტის ვიზიტი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის მიწის პარლამენტის პრეზიდენტი ბრიტა სტარკი, ვიცეპრეზიდენტი დიტერ დომბროვსკი, ევროპულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე კერსტინ კაიზერი, დეპუტატები: იან რედმანი, აქსელ ფოგელი, ელიზაბეტ ალტერი, იზაბელ ვანდრე, ფრანც ვიზე, იენს ულმანი და ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე პავლე შპეტიშვილი უნივერსიტეტს ეწვივნენ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან, ასოცირებულ პროფესორ მერაბ ხალვაშთან, ფაკულტეტების დეკანებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე დელეგაციის წევრებმა თანამშრომლობის მიმართულებებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. ყურადღება გაამახვილეს ასევე გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, და გადამზადებისა და სტაჟირების პროექტების ამოქმედების აუცილებლობაზე.



bsu.edu.ge

რეფორმატორული ნაშრომთა ხონარისი და სტუდენტთა საინივიტაციო სამეცნიერო ხონარენცია



სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეფორმატორული ნაშრომთა კონკურსი და სტუდენტთა საინივიტაციო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. აღნიშნული ღონისძიებები უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება.



სტუდენტებმა, რეფორმატორული ნაშრომთა კონკურსში გამარჯვებულმა I კურსის და მაგისტრატურის სტუდენტებმა, კონფერენციაში აქტიურებით გამოიჩინეს სამართალმცოდნეობის სექცია 16 მოხსენებით და ტურიზმის სექცია, სადაც 15 მოხსენება წარადგინეს სტუდენტებმა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამართალმცოდნეობის სექციაში გამარჯვებულები წიგნებით დააჯილდოვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალმა. ხოლო სტომატოლოგიის სექციაში დეპარტამენტმა მომხსენებლებს საჩუქრად წიგნები გადასცა.

გვანცა თურმანიძე

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

თამარ მეფის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში

18 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა თამარ მეფის ხსენების დღისადმი მიძღვნილი რა? სად? როდის? ტიპის ინტელექტუალური თამაში — პროექტის მიზანია საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია მოსწავლეებში, ცოდნისა და ცნობიერების გაღრმავება, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გამოვლინება. აღნიშნული პროექტი წელს პირველად გაიმართა და მოსწავლეების მხრიდან დიდი ინტერესი მოჰყვა.

ინტელექტუალურ თამაშში მონაწილეობა მიიღო ბათუმის ოცდაათი საჯარო და კერძო სკოლის 100-ზე მეტმა მოსწავლემ. კომპეტენციური ფიური 5 ნევრისგან შედგებოდა: ოლეგ ჯიბაშვილი (ისტორიკოსი), უჩა ოქროპირიძე (ისტორიკოსი), მერაბ მეგრელიშვილი (სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახურის სპეციალისტი), ზურაბ მესხიძე (სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე), გვანცა თურმანიძე (სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი). ფიურის შეფასებით პირველი ადგილი დაიკავა მეთხუთმეტე საჯარო სკოლის გუნდმა "რკინის ჯვარი", მეორე ადგილი მეათე სა-

ჯარო სკოლის გუნდმა „ბალავარი“, დამატებითი კითხვების მიუხედავად მესამე ადგილი გაიყო ორმა გუნდმა შ.პ.ს. სკოლა-ლიცეუმი „გორდა“, და შ.პ.ს. ევრო 2000 „თამარიონი“. ინტელექტუალური თამაშის მონაწილე ყველა სკოლას გადაეცა მონაწილეობის სერტიფიკატი. ხოლო გამარჯვებული გუნდები მხარდაჭერებისგან დაჯილდოვდნენ წიგნებითა და ფასიანი საჩუქრებით. ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა ყველა გამარჯვებულისთვის დაანება ერთიანი ვაუჩერი, ხოლო ბათუმის ავტორანსპორტმა მეორე ადგილზე გასულ გუნდს ბათუმელოს ბარათები გადასცა. გამარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან ერთდღიანი ისტორიულ-შემეცნიერებით ტურით სამცხე-ჯავახეთში, სადაც მოინახულებენ ვარძიას და რაბათის ციხეს.

ღონისძიების მხარდაჭერები იყვნენ: ბათუმის პოტანიკური ბაღი, კინო-თეატრი აპოლო-ბათუმი, ბათუმის ავტორანსპორტი, თვითმმართველი ძ. ბათუმის საკრებულო, ნიკო პირაქიანიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტი, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.



bsu.edu.ge

უნივერსიტეტმა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრს ზაურ ფუტყარაძეს უმასპინძლა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრს ზაურ ფუტყარაძეს უმასპინძლა. შეხვედრა მიზნად ისახავდა აგრარული მიმართულების დარგის განვითარებისთვის ერთობლივი პროექტების განხორციელებას. განიხილეს სამინისტროს პროგრამების მომზადებაში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობა. ასევე, ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობა სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში. დაიგეგმა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის ზაურ ფუტყარაძეს შეხვედრა პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ნათია ნიკლაშვილი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი გიზო ფარცხალაძე, სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე, სსიპ ლაბორატორიის დირექტორი რამაზ სურმახიძე.



bsu.edu.ge

იენის უნივერსიტეტის პროფესორის ანგოლა-პლონტა-ლუნინგის საჯარო ლექციათა ციხლი



bsu.edu.ge

იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ანგოლა-პლონტა-ლუნინგმა უნივერსიტეტში საჯარო ლექციათა ციკლი დაიწყო ბიზანტიური კულტურისა და ისტორიის საკითხებზე. გერმანელი ექსპერტი მოხსენებებს წაიკითხავს შემდეგ თემებზე: „რას ნიშნავს ბიზანტია?“, „რავენა - გვიანანტიკური ხანის დასავლეთ ევროპის დედაქალაქი“, „ადრეული ბიზანტიური არქიტექტურა“, „ნეობიზანტიზმი დასავლეთ ევროპის არქიტექტურაში“. საჯარო ლექციები აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმადლეის განათლების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამების ფარგლებში ტარდება.

- ლექციათა განრიგი:
- 04.05.2015. აუდ. N44, 13:00 საათი - „რას ნიშნავს ბიზანტია/ბიზანტიზმი?“
- 05.05.2015. აუდ.N44, 14:00 საათი - „რავენა - გვიანანტიკური ხანის დასავლეთ ევროპის დედაქალაქი“
- 15.05.2015. აუდ.N44, 14:00 საათი - „ადრეული ბიზანტიური არქიტექტურა“
- 20.05.2015. აუდ.N44, 14:00 საათი - „ნეობიზანტიზმი დასავლეთ ევროპის არქიტექტურაში“



სასწავლავლად პოლონეთში შვილებთან ერთად



სათუნა ხაბაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ლინგვისტიკის დოქტორანტი. იგი ამჟამად პოლონეთში, ვუჯის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტის გამოყენებითი ლინგვისტიკისა და თარგმანმცოდნეობის დეპარტამენტში სადოქტორო თემაზე მუშაობს წარმატებით ართმევს თავს. სათუნა ერასმუს მუნდუსის პროგრამის მონაწილეა. ოთხი შვილის დედა უცხოეთში სწავლა-განათლების პარალელურად საოჯახო საქმიანობითაცაა დაკავებული.

ლეობა მიიღონ ამ კონსორციუმებში სხვა მეორე ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით გარკვეული უპირატესობით. თუმცა ასოცირებულიობა დიდი პრივილეგიების მომცემი არ არის. მე მონაწილეობას ვლებულობ ერასმუს მუნდუსის აქტივობა 2-ის გაცვლით პროგრამაში, სახელად - EFFORT, როგორც ბსუ-ს დოქტორანტი. ამ პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდის ბმულზე, რომელსაც კურირებს ბსუ-ს საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

— სათუნა, კონკრეტულად რას ითვისებთ ადრეული სასწავლო პროგრამაში?

— ჩემს შემთხვევაში პროგრამა ითვისებთ 10-თვიან მობილობას ვუჯის (Lodz) უნივერსიტეტში, კერძოდ, ვუჯის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის გამოყენებითი ლინგვისტიკისა და თარგმანმცოდნეობის დეპარტამენტში ლინგვისტიკის განხრით სამეცნიერო მუშაობას.

— როგორია თქვენი თვალთვალის დასახული მაქაური უმაღლესი განათლების სისტემა?

— მინდა აღვნიშნო, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე არსებითი სხვაობა არ არის. აი დოქტორანტებს კი პოლო-

ნეთში განსხვავებული პროგრამა აქვთ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უმაღლესი განათლების სფეროში ჩვენი ადამიანური რესურსი არაფრით ჩამოუვარდება პოლონეთში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებსა თუ თანამშრომლებს. კოლოსალური განსხვავება მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში. პოლონეთში ყველა აუდიტორია, ლაბორატორია თუ ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ინტერნეტითა და ტექნოლოგიური მოწყობილობებით, რაც სწავლების პროცესს უფრო ეფექტურსა და მიმზიდველს ხდის.

— არ გიჭირთ ოჯახიდან შორს ყოფნა?

—რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, თუმცა ჩემს შემთხვევაში სხვაგვარადაა. მე ჩემი 3 მცირეწლოვანი შვილი ვერ გავიმეტე 10 თვით მომწყვია დედის სიტბოს. ამიტომაც გავრისკე და სამი პატარა და მათი ძიძა თან წამოვიყვანე. უფროსი სკოლის მოსწავლეა და ის მამასთან დავტოვე. ძალიან მიჭირს მარიკელას გარეშე, მას კი უჩემოდ, თუმცა მალე ორად გაყოფილი ოჯახი კვლავ შევერთდებით.

— სათუნა, თქვენ პოლონეთში შვილებთან ერთად ხართ. როგორ უთავსებთ მეოჯახეობას, სწავლას და მაქაური ცხოვრების რიტმს ერთმანეთს?

—როგორც გითხარით, ძიძა წამოვიყვანე, რომელიც ჩემი მუშაობის დროს ძალიან მეხმარება. თუმცა ძალიან რთულია: ოჯახის მეურვეობა მხოლოდ ჩემ კისერზეა, მად-

ლობა უფალს, პროგრამით განსაზღვრული სტიპენდია სავსებით საკმარისია ამისათვის. დატვირთული დღის შემდეგ კი ჩემ შვილებთან თამაშითა და მათზე ზრუნვით ენერჯიას კვლავ ვიღდგენ. ისე კი საქართველოშიც მსგავსი რიტმი მაქვს.

— თქვენი თვალთახედვით, რას სიახლეების დანერგვას საქირო-

საგან შორს მყოფი ადამიანისათვის საქართველო არის უდიდესი სევდა, ტკივილი და მონატრება. მიმდინარეობს შორიდან სამშობლოს ცქერა, რამოდენა საგანძურის ქვეყანა გვარგუნა უფალმა და ვერ ვუფრთხილდებით. სანამ თითოეული ჩვენგანი არ ვისწავლით ურთიერთპატივისცემას, განურჩევლად ჩვენი იდეოლოგიუ-



ებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

— უპირველეს ყოვლისა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაა აუცილებელი. ასევე მნიშვნელოვანი ნიშნადადგმული ნაბიჯი იქნება თუ ავამოქმედებთ სხვადასხვა სასწავლო პროგრამას ინგლისურ ენაზე. ეს უფრო მეტი უცხოელი სტუდენტის მოზიდვის საშუა-

რი თუ პოლიტიკური ორიენტაციისა, და სანამ არ ვისწავლით ურთიერთელმწიფობით თითო აგურის დადებას, მანამ ვეროპულ კი არა, ზოგადად სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. დღეს კი, მერწმუნეთ, ჩვენ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ.

— ყველაზე მეტად რა გენატრებათ?


— ჩემი მარიაში, მეუღლე და ზღვა.

— ჩემი ერთი დღე...

— დილით ბავშვებს ვუმზადებ სადილს, სუფებს, კოტლეტებს, ხაჭაპურებს და სხვა. შემდეგ ვემზადები ფაკულტეტზე წასასვლელად. პროფესორთან შეხვედრის დღე თუა, ვსტუმრობ მას და განვიხილავთ ჩემი სადოქტორო თემის საკითხებს. ვიღებ რჩევებსა და მივდივარ ბიბლიოთეკაში. თებერვლამდე ჩემს ახლაშემეწილ მეგობრსაც ვსტუმრობდი ხოლმე. მას ეთერი ქვია და ის თსუ-ს დოქტორანტი. ჩვენი კლავის სფეროები მსგავსია და ძალიან კარგ დანაყოფიერ დისკუსიებს ვანწყობდით ხოლმე. ის უკვე დაბრუნდა საქართველოში. შემდეგ გავდივარ საყიდლებზე და ვბრუნდები სახლში. კარგი ამინდი თუა, ბავშვებთან ერთად სახლთან მიმდებარე პარკში ვსვირნობთ. აქ ძალიან კარგი რეკრუაციული ზონებია ყველა დასახლებულ ტერიტორიაზე. ბავშვების დაძინების შემდეგ, ისევე ჩემს თემაზე ვმუშაობ. აქ ყოფნისას ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. ახლა მომდევნო სტატუსს ვამზადებ. კვირაობით წირვაზე დავდივარ ადგილობრივ მართლმადიდებლურ ტაძარში, სადაც გავიცანი ემიგრანტი ქართველები. მინდა აღვნიშნო, რომ ადღეობა წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარმა დამგალობელთა გუნდმა ქართული საგალობელით მოგვილოცეს. სიტყვებით ვერ გადმოვიცემ იმ ემოციას, როცა „ქრისტიანულად აღსდგა“ ქართულად გავიგონე ამ ტაძრის სასულიერო პირებისაგან. პირველ შემსტრში ვუჯის უნივერსიტეტი ყოველკვირულ ექსკურსიებს გვინწყობდა, რაც ძალიან საინტერესო იყო. ხანდახან ქართველი სტუდენტები ერთად ვიკრებდით ხოლმე. ასეთია ჩემი პოლონური დღეები.



საქართველოს სახელმწიფო ადვოკატის დღისადმი მიძღვნილი ჟონფერანცია



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სესია რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხალვაშმა გახსნა და ისტორიული დღის მნიშვნელობაზე

ისაუბრა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა მარინა გიორგაძემ სესიის მონაწილეებს 1997 წელს ლევილი გადაღებული ფოტოები წარუდგინა, ხოლო პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა 1918-1921 წლების მოვლენების ამსახველი საარქივო ვიდეომასალა გააცნო. კონფერენციაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა მოხსენებები წაიკითხეს 1918-1921 წლებში განვითარებულ მოვლენებზე.

მომხსენებლებმა იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა - 1918 წლის 26 მაისი, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა და ეროვნული საბჭოს შექმნა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, საერთაშორისო ვითარება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი სესია საქართველოს ჰიმნით დასრულდა.

ლებას მოგვცემს და უფრო მეტ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ასპარეზსაც გავიხსნის. აუცილებელია პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამებიც, რაც მათ უფრო ინტეგრირებული და ინოვაციური სალექციო კურსების მომზადებაში ხელს შეუწყობს.

— როგორია პოლონეთიდან დანახული ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

— პირველ რიგში მშობლიური დამონატრებული. ძალიან მომეწონება ყველა. ზოგადად რომ ვთქვათ, ამ გადმოსახედიდან, ბსუ არის პერსპექტიული უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტებს, როგორც ადგილობრივთ ისე უცხოელთ, პროფესიონალ აკადემიურ პერსონალთან ერთად მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ნავსაყუდელი ელით.

— პოლონეთიდან დანახული საქართველო...

— აქ ყოფნისას უფრო გავითავისე თუ რა სევდას ატარებენ ჩვენი ემიგრანტები უცხოეთში. მამული-

სახელოვანი წინაპრები თაობათა მემკვიდრეებში

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართულ სახელოვან გვარებს შორის ხიმშიაშვილთა გვარს, მის პატრიოტ მამულიძეებს ღირსეული ადგილი უკავიათ საქართველოს ისტორიაში.

ამ გვარის გამორჩეულ წარმომადგენელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სელიმ ხიმშიაშვილი, რომელმაც მე-18—19 საუკუნეების მიჯნაზე სათავე დაუდო ეროვნულ (სახალხო) - განმათავისუფლებელ მოძრაობას სამხრეთ საქართველოში. ამ მოძრაობის მიზანი ოსმალთა ბატონობისაგან დაპყრობილი ტერიტორიების „გამოსხნა“ და დედამამამოხლოსთან დაბრუნება იყო.

სელიმ ხიმშიაშვილი ეკუთვნის იმ სახელოვან მამულიძეებს თაობას, რომელთა წარმომადგენლებს საქართველოს ერთიანობისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში თავი უსახელებიათ და სამშობლოს გმირული წარსულის ისტორია დიდების შავარანდელით შეუქვიათ. მამის, აბდულ-ბეგის დაღუპვის შემდეგ, აჭარის სანჯაყბეგობა იტვირთა მისმა შვილმა სელიმ ხიმშიაშვილმა. ის როცა მოქმედების სტრატეგიულ გეგმებზე ფიქრობდა, დარწმუნებული იყო, მცირერიცხოვანი აჭარის პატარა ტერიტორია და საკუთარი ძალები არ იყო დასახული მიზნებისათვის საკმარისი. ამიტომ კავშირს ამყარებს ახალციხის ფაშასთან შერიფ ჯაყელიანს, მაგრამ შიდა ფეოდალური აშლილობის გამო, პირველობისათვის ბრძოლაში ჩამოვარდნილი ინტრიგის შედეგად, სელიმსა და შერიფს შორის გართულდა ურთიერთობა. სელიმმა გამოიყენა ეს ვითარება და ახალციხის ფაშობას ორჯერ (1803—1809 წწ და 1812—1815 წწ) მიადნია. ეს იყო მისი პირველი სტრატეგიული ამოცანა. სელიმ ხიმშიაშვილს საფაშოს ტახტზე მტკიცედ მიღწევა შეეძლო, მაგრამ მან ცხოვრების სხვა (არა კარიერისტული, არამედ ეროვნულ-პატრიოტული) გზა აირჩია, გაზა ბრძოლისა, რომელიც სამხრეთ საქართველოს გამოისხნა ოსმალთა ტირანიისაგან. ამ ბრძოლაში რაკი შიდა ძალებმა, იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა (სოლომონ — II, ერეკლე—II) დაპირების მიუხედავად, შიდა ბრძოლებისა და დაძაბული ვითარების გამო, ვერ მოახერხეს დახმარება, ამიტომ შინაგანი ძალების იმედი ამოიწურა, რის შემდეგ სელიმ ხიმშიაშვილს მოკავშირედ მეფის რუსეთი (თვითმკურთხელობის გამო, მაგრამ „ნაკლებად ბოროტი“, სხვა მემკვიდრეების სახელმწიფოებთან შედარებით) მიანდა (აღბლით, იმ დროისათვის და საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში სავსებით სწორად). რომ არა დიპლომატიური უწყების შეცდომა და, აგრეთვე, სამხედრო ხელმძღვანელების ზოგიერთი წარმომადგენლის უხეშობა, უტაქტობა და ლალატი, საქართველოს ტერიტორიების სრული დაბრუნება ადრე და შესაძლოა, უფრო ნაკლები სხვერალით გადაწყვეტილიყო.


ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სელიმი სტრატეგიული მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლას შეენირა, განსაზღვრული პირობით, საკუთარი ნებით მამაცურად ჩაბარებულს, მტერმა 1815 წლის 3 ივნისს სელიმს თავი მოჰკვეთა და სტამბოლში სულთანს გაუგზავნა. საკუთარი სიცოცხლის განირვით სელიმმა ათასების სიკვდილი გადაიარაღა, სოფლები და ხეობები სრული განადგურებისგან იხსნა.

მართალია, დასახულ მიზანს სელიმმა ვერ მიადნია, მაგრამ მისი დანაშაუაროანი ანდერძი (თავის მოკვეთის წინ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები): „ მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი ოსმალის სამუდამოდ არ შერჩება“ - გახდა მოქმედების სახელმძღვანელო პროგრამა შთაბრძნავი.

მიმდინარე წლის ივნისში, „სელიმობის“ მეათე წლისთავის აღსანიშნავად, ქალაქ ბათუმში დაიდგება სელიმ ხიმშიაშვილის ძეგლი.

ლობისა და ქართველი ხალხისათვის, რომლებმაც სელიმის მიზანს ფრთები შეასხეს. რუსეთ-თურქეთის (1828—1829 და 1877—1878 წლების) ომების შედეგად ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებით (1829 წლის ადრიანოპოლის ზავით) გათავისუფლდა სამცხე-ჯავახეთი, ხოლო 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოს ზავით, საბოლოოდ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა გათავისუფლდა თურქეთის სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან და დაბრუნდა დედამამამოხლო საქართველოს.

ერის მამამთავარი დიდი ილია გვომოდერავდა თანამემამულეებს: „ერი თავის გმირებში ჰყოლობს თავის სულსა და გულს... თავის ხატსა და მაგალითს... საჭიროა მათი სხვისა და არ დავინწყება“. ქართველი ერი



ასრულებს ილიას ანდერძს. აჭარა არ ივიწყებს მათ სახელებსა და ღვაწლს. ამ თვალსაზრისით სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტები, ჩვენი ხატი და მაგალითები გახდნენ. ქართველი ერი არ ივიწყებს მათ სახელებს, სამშობლოსათვის თავდადებასა და ღვაწლს.

ხიმშიაშვილთა გვარის ისტორიის, სახელდობრ, სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრება—მოღვაწეობის შესწავლა მე-19 საუკუნის მორე ნახევრიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველები იყვნენ: ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, თედო სახოკია, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ჟორდანი, გიორგი ვახაზეგი, ზაქარია ჭიჭინაძე, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, მამია და გრიგოლ გურიელიძე და სხვა. მათ არა მარტო მოიძიეს და შეკრიბეს საინტერესო მასალები, არამედ სათანადოდ შეაფასეს სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე. ამ საქმეს უფრო მეტი ბიძგი მისცეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, მიხეილ ჯავახიშვილმა, იაკობ გიგეიშვილმა, აბალონ ნულაძემ და სხვებმა... ეს საქმე ჩინებულად განაგრძეს ცნობილი მკვლევარებმა: ხარიტონ ახვლედიანმა, ვუკოლ იაშვილმა, შოთა ლომსაძემ, იური სიხარულიძემ, აბელ სურგულაძემ, ფრიდონ სიხარულიძემ, რამაზ სურმანიძემ, ემერ დავითაძემ, ვახტანგ ზოიძემ, შუმბან ფუტყარაძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, სერგო დუმბაძემ და სხვებმა.

ხარიტონ ახვლედიანმა, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, საარქივო დოკუმენტების, გამოქვეყნებული ნაშრომების, პრესის მასალების, თანამედროვეთა მოგონებებისა და მოსახლეობაში შემონახული გადმოცემების შეჯერება—გაანალიზების საფუძველზე, არაერთი ნაშრომი შექმნა განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ სამხრეთ საქართველოში და, აგრეთვე, სხვა რამდენიმე სტატიასა და ნაშრომში გამოკვეთა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების ღვაწლი და როლი ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში; მანვე შეადგინა აჭარის ისტორიის ბიბლიოგრაფია და სხვა.

საკანგებოდ აღსანიშნავია აჭარის კულტურის ყოფილი მინისტრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქველმოქმედის თეიმურაზ კომახიძის და მიხეილ მელქონის მეცენატ ნარეგ აბაშიძის ღვაწლი. თეიმურაზ კომახიძემ არა მარტო ნიგნები მიუძღვნა ამ გვარის წარმომადგენლებს, არამედ თავისი საქველმოქმედო საქმიანობით, მეცენატ მუშაობისთან ერთად,

თხილვანასა და სხალთაში გახსნა მუზეუმები, სადაც თავმოყრილია მრავალი ექსპონანტი. ხიხანის ციხეზე გაიყვანა გზა-ბილიკი (ამ საქმეში მონაწილეობდნენ ანზორ და სიმონ ბოლქვაძეები - თხილვანელი ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად), ქოჩახსა და სხალთაში რეაბილიტაცია გაუკეთდა შერიფ ხიმშიაშვილის, მისი დედის (დუდი-ხანუშ ბეჟანიძის) და დანიელი მეუღლის დაგმარება და მისი ქალიშვილის საფლავებს; სოფელ ბაკოში დაიდგა სელიმის მემორიალური დაფა. ნიგაზულში (მუხავეის რაიონი) აღდგენილი იქნა ხიმშიაშვილის ციხე, მის ტერიტორიაზე გაიხსნა მუზეუმი, იქვე, წყანბურის უბანში კეთილმოეწყო სელიმის საფლავი.

1990 წელს ქ. ბათუმში დაფუძნდა და მუშაობს სრულიად საქართველოს სელიმ

„ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა, ვისაც რა დაუთესია“ ვაჟა-ფშაველა

ხიმშიაშვილის საზოგადოება, რომლის პრეზიდენტი პროფესორი სიმონ შარაძე. მან გამოსცა გაზეთი სახელწოდებით „ფესვები“, რომელშიც გამოქვეყნდა ხიმშიაშვილთა გვარის გენეალოგიური ხე და სხვა საინტერესო მასალები ამ გვარის სახელოვანი შვილების შესახებ. ამ საზოგადოებამ ამავე წელს სელიმ ხიმშიაშვილის სოფ. ნიგაზულში (მუხავეის რაიონი) ჩაატარა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა.

2000 წელს გამომცემლობა „ალიონმა“ გამოსცა ნოველტირათიანი და დიდი ფორმატის ნიგნი „ხიმშიაშვილები“, რომელიც მოამზადა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა. ნიგნი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია, ხელს უწყობს ამ გვარისა და ჩვე-



„ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცები ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლით ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შევკადლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვიხსნა...“

ნი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველ საზოგადოებას.

2005 წელს შესრულდა სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250 და თავის მოკვეთიდან 90 წელი. ამ თარიღის აღსანიშნავად გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა ჩემი და შოთა ბოლქვაძის (თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი) ერთობლივი წერილი სათაურით „სელიმ ხიმშიაშვილი-საქართველოს ერთიანობისთვის წამებული რანდი“ (გაზეთი „აჭარა“, N192, 2005 წლის 11 ოქტომბერი, გვ.5-7).

2005 წლის 21 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის (თავმჯდომარე პროფ. ბიჭიკო დიასამიძე) ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „სელიმ ხიმშიაშვილი- ეროვნულ (სახალხო) - განმათავისუფლებელი მოძრაობის მედრომე“. კონფერენციაზე მონაწილე იყვნენ სელიმ ხიმშიაშვილის თურქეთში მცხოვრები შთამომავლობის წარმომადგენლები-ქალბატონი ზეინაბ-ხანუმი და მისი მეუღლე იალჩინ ნალბანდოღლუ. ზეინაბ ხანუმი მიესალმა კონფერენციას და მაძლავდა გადაუხადა უნივერსიტეტის კოლექტივს, ლონისძიების ორგანიზატორებს კონფერენციაზე მონაწილეთათვის. კონფერენციაზე მონაწილე იყო, აგრეთვე, სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების პრეზიდენტი სიმონ შარაძე, რომელმაც გაზეთი „ფესვები“-ს რამდენიმე ათეული გვეგემლარი ჩამოიტანა საჩუქრად. კონფერენციაზე აღინიშნა ვითარება „ოსმალის საქართველოში“ და ხაზი გაესვა ხიმშიაშვილთა გვარის, კერძოდ, სელიმ ხიმშიაშვილის, როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობის მედრომის, აგრეთვე, შე-

რიფის, როგორც აჭარის მმართველის, როლსა და მისი ორიენტაციის მნიშვნელობას აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან გამოსხნის საქმეში. ითქვა, აგრეთვე, სხვა სახელოვან ადამიანებზე (ახმედის, დუდი-ხანუმის, ქორხუცინის, აბდის, ნური ხიმშიაშვილებზე) და სხვათა შესახებაც.

2005 წლის 11 დეკემბერს ბაკოელი ახალგაზრდების ინიციატივით, ამ წერილის ავტორის რეკომენდაციითა და მეცნიერული ხელმძღვანელობით ბაკოში (თავის მოკვეთის ადგილას) დაფუძნდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა“. გადანიშნა „სელიმობის“ აღნიშვნა ყოველი წლის 3 ივნისს სელიმის თავის მოკვეთისა და „საგარადოდ, მისი დაბადების დღეს- ბაკოში, ნიგაზულში, სხალთაში და სხვაგანაც პერიოდული აღნიშვნით. 2006 წელს ბაკოში, საჯარო სკოლის დაარსებიდან 80 წლისთავის აღნიშვნასთან ერთად, ჩატარდა „სელიმობის“ პირველი სახალხო დღესასწაული. სოფ. ბაკო საზეიმოდ იყო მორთული ღობეებით, პლაკატებით, მხატვრული გამოფენებით, რომელიც მოამზადა მხატვარმა ვურს ენსერკარაძემ. დღესასწაულს ესწრებოდნენ არა მარტო ხეობის მოსახლეობა, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რაიონის ხელმძღვანელობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები. აქ იყვნენ აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს, მათ შორის სახალხო ეპარქიის წარმომადგენლები. საზეიმო ღონისძიება ჩატარდა მაღალორგანიზებულ დონეზე და მას მოჰყვა საზოგადოების დიდი გამოხმაურება. გაზეთ „აჭარა“-ს ინტერვიუ მისცეს პირველი „სელიმობის“ მონაწილე მეცნიერებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა: პროფესორმა მალხაზ სიორიძემ, თეიმურაზ კომახიძემ, სიმონ შარაძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, რამაზ სურმანიძემ, რუსთაველის პრემიის

რია და მას გაფორმებდა სჭირდება. ძვირფასო მკითხველო, აი, რა დანიშნულება და მიზანი აქვს სახალხო დღესასწაულ „სელიმობა“-ს.

2007 წლის 3 ივნისს ჩატარდა მეორე „სელიმობა“ ნიგაზულში, საზოგადოების ფართო მონაწილეობით. 2009 წლის ჩატარდა მორიგი „სელიმობა“ ბაკოში. ამავერად „სელიმობის“ დღესასწაულის შინაარსი უფრო დატვირთული იყო იმით, რომ ბაკოელთა და სკოლის პედაგოგთა ინიციატივით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (466, 2009 წელი) ბაკოს საჯარო სკოლას მიენიჭა სელიმ ხიმშიაშვილის სახელი, ხოლო იმავე მისისტრის 2012 წელს 9 თებერვლის ბრძანებით (?38/6) მთისუბნის საჯარო სკოლას მიენიჭა შერიფ ხიმშიაშვილის სახელი.

მიმდინარე 2015 წლის ივნისი არის „სელიმობის“ საიუბილეო მეათე წელი. შექმნილია აჭარის სამთავრობო კომისია. მიღებულია გადაწყვეტილება „სელიმობა“ უფრო ფართო მასშტაბით აღინიშნოს. ასრულდა დიდი ილიას შთამაგონებელი სიტყვები. სელიმ ხიმშიაშვილი, სამშობლოსათვის თავდადებული და სიცოცხლეგანწირული რანდი, მისმა სამშობლომ მიიღო ხატად და გულში ჩაიკრა. მისი ანდერძი, მისი ცხოვრება პოლიტიკური მოღვაწეობა და პირადი მაგალითი დღესაც სამოქმედო პროგრამად რჩება საქართველოს ერთიანობისა და გამორჩეულობისათვის ბრძოლაში. ასრულდა მოსახლეობის ნება - მიმდინარე წლის ივნისში, „სელიმობის“ მეათე წლისთავის აღსანიშნავად, ქალაქ ბათუმში დაიდგება სელიმ ხიმშიაშვილის ნარმომადგენლები, რაიონის ხელმძღვანელობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები. აქ იყვნენ აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს, მათ შორის სახალხო ეპარქიის წარმომადგენლები. საზეიმო ღონისძიება ჩატარდა მაღალორგანიზებულ დონეზე და მას მოჰყვა საზოგადოების დიდი გამოხმაურება. გაზეთ „აჭარა“-ს ინტერვიუ მისცეს პირველი „სელიმობის“ მონაწილე მეცნიერებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა: პროფესორმა მალხაზ სიორიძემ, თეიმურაზ კომახიძემ, სიმონ შარაძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, რამაზ სურმანიძემ, რუსთაველის პრემიის

ქართველი ერის მადლიერებას სელიმ ხიმშიაშვილისადმი კარგად გამოხატავს ცნობილი ქართველ პოეტის მამია ვარშამიის ლექსი „სელიმ ხიმშიაშვილს“:

„სელიმ, უნდა აჭარა გულის ხატად გიგულებს, თავგანწირვას მამაცურს, სიყვარულით გიბრუნებს.“

რა თქმა უნდა, გაკეთებული არ მთავრდება საქმე. უნდა გაგრძელდეს მისი შემოქმედების შესწავლა და საქართველოს საპატრიარქოს, მისი სინოდის გადაწყვეტილების შესაბამისად, სელიმ ხიმშიაშვილის თავის მოძიება, მისი სხეულთან შეერთება და მოხდეს გამორჩეული ნემთის მთაწმინდად დასვენება.

მსგავსი ხასიათის ეროვნული და სახალხო დღესასწაულები, მათ შორის „სელიმობა“, სამშობლოსათვის თავდადებული და ნამუშევარი სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების საიუბილეო ღონისძიებები უნდა გამოვიყენოთ რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობის აძალდების, მათი დასვენებისა და ხეობაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვისაც. ამიტომაც საჭიროა ხეობაში კაპიტალური გზის მშენებლობა გაგრძელდეს ხიხანის ციხემდე, ხიხანის ციხიდან კი - ბუშუმამდე. მარეთის ხეობასთან ერთად ანი საგზაო ინფრასტრუქტურა კაპიტალური წყალსადენებით შექმნის ხეობის სოფლებში საოჯახო ტურიზმის განვითარების ნიაპარაკებს და ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით დასაქმდება მთელი მოსახლეობა, გაუმჯობესდება მათი ცხოვრებისა და დასვენების პირობები, განვითარდება ეკონომიკა, სპორტი და ტურიზმი...

და ბოლოს, ქართველი ხალხის საამაყო შვილები, სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილებს, სამშობლოსათვის ერთგულ, თავდადებულ და სახელოვან წინაპრებს გრიგოლ ორბელიანის სიტყვებით სიამაყით მივმართავ:

„გმირო, მამულის მაღიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენთა საქმეთა ამაყად წარმოთქვამს შთამომავლობა. თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცთ ცრემლ მოედინება, მხნეობით აღტაცებული, ჭაბუკი ხმალსა მისწვდება.“

სიმონ ღუმუბაძე
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
28.04.2015





ღვიძლის გადანერგვის პირველი წარმატებული ოპერაცია საქართველოში

(დახაწვის პირველ გვერდზე)

ლად კაცობრიობის ისტორიაში დენვერში, კოლორადოს ჯანმრთელობის სამეცნიერო ცენტრში შეასრულა პირველი ადამიანში ღვიძლის ტრანსპლანტაციის მცდელობა 3 წლის ბავშვში, რომელიც დაავადებული იყო ბილიარული ატრეზიით, რისთვისაც გამოყენებული იყო ასევე, ტვინის სიმსივნით გარდაცვლილი, ბავშვის ღვიძლი. მაგრამ ოპერაცია ვერ იქნა დასრულებული არაკონტროლირებადი სისხლდენის გამო და რეციპიენტი გარდაიცვალა. იმავე წლის 5 მაისს მეორე მცდელობა წარმატებით დასრულდა, მაგრამ პაციენტი 22-ე დღეს ფილტვის არტერიის თრომბოემბოლით გარდაიცვალა. თუმცა ღვიძლი დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებდა. ამის შემდგომ რამოდენიმე წლით ეს პროგრამა შეჩერებული იქნა და გაგრძელდა მხოლოდ 1967 წელს, როდესაც ტრანსპლანტაციის შემდგომ პერიოდში უკვე ნაჩვენები იყო სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა. მიუხედავად ოპერაციული ტექნიკის დახვეწისა კარგა ხანს ღვიძლის ტრანსპლანტაცია სპორადული შემთხვევების სახით ინარჩუნებოდა და ექსპერიმენტული ოპერაციის სახეს ატარებდა.

ახალი ერა ღვიძლის ტრანსპლანტაციაში უკავშირდება ბრაზილიელი ქირურგის პროფესორ **Silvano Raia**-ს სახელს, რომელმაც სან პაულოში პირველმა განავითარა ცოცხალი დონაციის კონცეფცია და 1988 წლის დეკემბერში პირველად კაცობრიობის ისტორიაში გოგონას გადაუწერა დედის მარცხენა წილი - ცოცხალი დონორული ნაწილობრივი ღვიძლის ტრანსპლანტაცია, რომელიც სამწუხაროდ წარუმატებლად დამთავრდა მე-6 დღეს რეციპიენტი გარდაიცვალა, მაგრამ ამ ოპერაციამ დასაბამი მისცა ცოცხალი დონაციის შესაძლებლობას ზრდასრული დონორიდან ზრდას-



რასიპიენტის კვანძობრაფიული აქსიალური და კორონარული ჭრილები

რულ რეციპიენტში, რაც ესპანელი ქირურგების **Makuuchi**-ს და თანაკას-ს სახელებს უკავშირდება. მხოლოდ 1993 წელს პირველად ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორის **Masatoshi Makuuchi**-ის მიერ შესრულებული იქნა წარმატებული ცოცხალი დონორული ღვიძლის ნაწილობრივი ტრანსპლანტაცია ზრდასრული დონორიდან ზრდასრულ რეციპიენტში. ამ დროისათვის მსოფლიოში 8 ტრანსპლანტირებული პაციენტი, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლიობა 30 წელზე მეტია. ერთ-ერთი მათგანი ახლა 46 წლისაა და 3 წლის იყო როდესაც ღვიძლი გადაეწერა.

საქართველოში პირველი წარმატებული ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაბადების დღეს 2014 წლის 14 დეკემბერი წარმოადგენს, როდესაც ქ. ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში პირველად წარმოებულ იქნა ცოცხალი დონორული ტრანსპლანტაცია ზრდასრული დონორიდან ზრდასრულ რეციპიენტში. ამ მოვლენას 2 წლიანი სამზადისი უსწრებდა წინ.

ღვიძლის გადანერგვაზე ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოს 25-კაციანი ჯგუფი მუშაობს, - აღნიშნა ბატონმა კახამ. სხვადასხვა პროფილის ექიმებმა და ექთნებმა ერთნაირი გადამზადება გაიარეს ბელორუსიაში, გერმანიაში, თურქეთსა და აზერბაიჯანში, სადაც წარმატებით სრულდება როგორც ცოცხალ დონორთა, ასევე გვამურ დონორთა ღვიძლის ტრანსპლანტაცია. თავად კახა ქაშიბაძემ ინდოეთში, ბელორუსსა და თურქეთში გაიარა საამისოდ მომზადება. ინდოეთში, ქალაქ გურგანოში - თქვა მან - არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცენტრი, სადაც წლის განმავლობაში 400-მდე ღვიძლის ტრანსპლანტაცია სრულდება, რომელთა უმრავლესობა ცოცხალი დონაციაა.

ჩემი მიზანი იყო, - განაგრძობს საუბარს იგი, - ღვიძლის ტრანსპლანტაციის რეფერალურ საავადმყოფოში დანერგვა. საამისოდ საჭირო იყო არაპირდაპირ გაგვეხორციელებინა ღვიძლის გადანერგვა, არამედ ჯეროვნად გაგვევითარებინა ღვიძლის ქირურგია მთლიანად. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ღვიძლის, სანაღვლე

გუბებისა და პანკრეასის ქირურგიაა, რომლის განვითარებითაც დავინწყეთ პროცესი, განვავითარეთ ღვიძლის ონკოლოგია, რასაც არ ექცეოდა ყურადღება საქართველოში - ჰემი-ჰეპატექტომიები ღვიძლის კიბოს დროს. მათი არსებობის გამო კი პაციენტები იღუპებოდნენ.

მთავარმა ქირურგმა საუბრისას მაღლივთა გამოხატა კორპორაცია „ვექსის“ მისამართით, რომლის ძალისხმევითაც აჭარაში გაიხსნა თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით ალჭურვლი ახალი საავადმყოფო. სხვანაირად ამ დონისა და ამ კლასის ოპერაციის ჩატარება წარმოუდგენელი იქნებოდა, - იგი უტოპიად დარჩებოდა თქვა მან. - შესაბამისად, დღეს ჩვენ ღვიძლის გადანერგვის გარდა ბევრი სხვა ოპერაციის გაკეთება შეგვიძლია ღვიძლზე. ღვიძლის ქირურგიაში შედის ოპერაციები კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების, მეტასტაზების დროს, რომელთაც სჭირდებათ ქირურგიული ჩარევა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ კიბო 5 სანტიმეტრამდეა, შესაძლოა ღვიძლის ნახევარი ამოიჭრას და დარჩენილი ნახევარი ჩვეულებრივ გააგრძელებს ფუნქციონირებას. რაც შეეხება ყველა ტიპის ციროზს მათ საბოლოოდ გადანერგვა ესაჭიროებათ.

სტუდენტებისათვის საინტერესო იყო იმის გაგება, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად 1500-ზე მეტი ტრანსპლანტაცია კეთდება. მათ შორის ნახევარი ცოცხალი დონაციაა, ნახევარი-გვამური. ჩვენთან მხოლოდ ცოცხალი დონაცია კეთდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანოს გადანერგვა მხოლოდ ცოცხალი, ჯანსაღი დონორიდან არის შესაძლებელი. რაც შეეხება მოთხოვნას ღვიძლის გადანერგვაზე საქართველოში, ეს რიცხვი საკმაოდ მაღალია ჩვენს ქვეყანაშიც. დაახლოებით 100-მდე პაციენტს ესაჭიროება ეს ოპერაცია. რეფერალურ საავადმყოფოში კი ღვიძლის გადანერგვის მხოლოდ 15-20 ოპერაციის ჩატარებაა შესაძლებელი წელნადში.

ღვიძლის გადანერგვის მხოლოდ 15-20 ოპერაციის ჩატარებაა შესაძლებელი წელნადში.

ღვიძლის ტრანსპლანტაცია თავისი ინოვაციური ტექნოლოგიებითა და ქირურგიული კლასით ყველაზე რისკიანი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ურთულესი ოპერაციაა, რაც კი საქართველოში გაკეთებულა დღემდე, - ხაზგასმით აღნიშნა საუბრისას ქირურგმა ლექტორმა. ამ დროს ძალიან მაღალია დონორის გარდაცვალების რისკი. მსოფლიო სტატისტიკით, ყოველ 1000 ოპერაციაზე, ერთი გარდაცვლილი დონორი მოდის. თუმცა ამის მიზეზი ექიმის დაბალი კვალიფიკაცია კი არაა, არამედ ის გაუთვალისწინებელი არასასურველი დამთხვევებია, რომელიც შეიძლება მოხდეს და ამას ვერანაირი მაღალი კვალიფიკაცია ვერ აუვლის გვერდს, ვერ გამოიციხავ, ინდოეთშიც კი, სადაც თითქმის ყოველდღე ვაკეთებდით ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას, სიკვდილიანობის ფაქტი აქაც ფიქსირდებოდა.

მომავალი მედიკოსები დიდი ცნობისმოყვარეობითა და ინტერესით აკვირდებოდნენ მონიტორზე ღვიძლის უშუალოდ გადანერგვის პროცედურას. იგი 20 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. პირველი პაციენტი ტატანა მ. (რეციპიენტი) ჩვენს საავადმყოფოში მკურნალობას და დაკვირვებას გადიოდა ოპერაციამდე ერთი წლის განმავლობაში დიაგნოზით: ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ციროზი ტერმინალური სტადია. რომელიც დაავადების მანიფესტაცია, 4 წლის ასაკიდან ქვემწვავე ფორმის ჰეპატიტით, უკავშირდება ტონზილექტომიას; შემდგომი გამწვავების ტალღა პაციენტის ორსულობის და ადრეული ლოგინობის ხანას უკავშირდებოდა. შეუქცევადი კი უკვე 2011 წელს გამოვლინდა ასციტი, კოაგულაციური ფაქტორების დეფიციტი და სიყვითლე. კვლევა გაგრძელდა ისრაელის ხაიმ შივას საუნივერსიტეტო სამედიცინო ცენტრში, სადაც ბიოფსიურ მასალაში ვერიფიცირდა ღვიძლის იდიოპათიური ციროზი და ექვი გამოითქვა გარკვეული აუტოიმუნური ფაქტორების როლზე, MELD შკალით შეფასდა 21 ქულით; ხოლო ჩაილდ-პაუზის შკალით B კატეგორიად. რის გამოც მიეცა რეკომენდაცია ღვიძლის ტრანსპლანტაციაზე (2012 წ.).


დონორი ვახტანგ მ. 28 წლის პრაქტიკულად ჯანმრთელი მამაკაცი — უცოდლვე-

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები დაიწყო

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები დაიწყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხუთი დღის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის 5150-მდე სტუდენტი 94-წევრიან სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს 2 წლის ვადით აირჩევს. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ფარული კენჭისყრით იმართება და მასში 174 კანდიდატი მონაწილეობს.

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ბანრიზი:


1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 28 მაისი, 10 წევრი;
2. იურიდიული ფაკულტეტი - 28 მაისი, 5 წევრი;
3. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 29 მაისი, 10 წევრი;
4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 29 მაისი, 5 წევრი;
5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი - 1 ივნისი, 17 წევრი;
6. ტურიზმის ფაკულტეტი - 1 ივნისი, 4 წევრი;
7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ივნისი, 24 წევრი;
8. განათლების ფაკულტეტი - 2 ივნისი, 6 წევრი;
9. ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 3 ივნისი, 13 წევრი.



bsu.edu.ge



ლო, რომლის BMI იყო 29 12 კგ. დაკლების შემდგომ. ამიტომაც გადაწყვიტა შეფასებულიყო დონორის სტეატოზის ხარისხი გარდა LAI ინდექსისა რომელიც საშუალოდ >5-ზე, რაც დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია გაციხომონების გამორიცხვის მიზნით. ასევე ჩაგვეტარებინა ბიოფსია და მორფოლოგიური შეფასება მოსალოდნელი გრაფტის (ცოცხალი დონორული ღვიძლის გადასანერგი ნაწილის) გაციხომონების და ნეიტროფილოზის ხარისხი.



ღვიძლის არტერიის ანატომიური არქიტექტონიკა

გადანერგვა, მაგრამ ასეთ დროს რეციპიენტის გარდაცვალების რისკი კიდევ უფრო იზრდება.

საუბრისას გამოცდილ ქირურგს მხედველობიდან არ გამორჩენია გადანერგილი ღვიძლის აღდგენისა და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის საკითხები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დონორის ღვიძლის აღდგენისათვის დაახლოებით 3-5 თვეა საჭირო.

რეციპიენტის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მისთვის გადანერგილი ღვიძლი უცხო ქსოვილია. როგორც ცნობილია ორგანიზმში ყოველთვის ცდილობს ყოველივე უცხო მოიშოროს, ამიტომაც ეს პაციენტები მუდმივად იმყოფებიან იმუნიტეტის დამაქვეითებელ მედიკამენტებზე, რომ არ მოხდეს გადანერგილი ქსოვილის მოშორება. არსებობს ორი სახის მოშორება: დაუყოვნებლივი ტიპის იმუნორეაქცია და დაყოვნებული. დაუყოვნებლივი შესაძლოა მოხდეს გადანერგვიდან პირველ კვირაში, ხოლო მოგვიანებითი ტიპის დაყოვნებულ იმუნურ რეაქციას, ეს შეიძლება დაიწყოს რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ და საჭირო ხდება დაუყოვნებლივ ხელმეორე გადანერგვა, თორემ პაციენტი დაიღუპება. ერთი წლის უმტკივნეულოდ, მშვიდად, ნორმალურად გავლის შემდეგ ასეთი რისკი მინიმუმამდე მცირდება. თუმცა იმუნოსუპრესანტების მიღება მაინც ბოლომდეა საჭირო, რათქმუნდა მცირე დოზით.

რაც შეეხება გადანერგილი ღვიძლის სიცოცხლის ხანგრძლივობას იგი ჯერ დადგენილი არაა იმ მიზეზის გამო, რომ ცოცხალი ორგანოს ტრანსპლანტაცია ჯერჯერობით, მხოლოდ 20 წელს ითვლის. გამოცდილებაც ამდენივეა. ამჟამად 15 წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა არსებობს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გადანერგვის ოპერაცია უკეთდებათ ჯამრთელობაშერყეულ ადამიანებს. ამ ქირურგიული ჩარევის მიზანია გააუმჯობესოს პაციენტის ცხოვრების მდგომარეობა და გაუხანგრძლივოს მას სიცოცხლე. ასეთი ადამიანების სრულიად განკურნება შეუძლებელია. თუმცა ის, რომ პაციენტის სიცოცხლე რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე გახანგრძლივდა, ეს ბევრს ნიშნავს, ბევრის მთქმელია. უპირანია ითქვას იმის შესახებაც, რომ შეზღუდვა სიცოცხლეში მათ არ აქვთ. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დონორის ღვიძლს და რეჟიმის დაცვას. როცა ღვიძლი ნორმალურად ფუნქციონირებს და პაცი-

გართულება მოხდება, ეს იყოს გარდაუვალი აუცილებლობა და არ გაჩნდეს კითხვები, ხომ არ იყო ეს ჩვენი გუნდის შეცდომა, ხომ არ იყო ეს ჩვენი დაბალი კვალიფიკაციით, არაპროფესიონალიზმით გამოწვეული შედეგი. ეს ასე ხდებოდა ყველა ქვეყანაში. ასეთი გზა გაიარა ყველა ქვეყანამ, მონიწივე გამოცდილების მქონე ქვეყნის თანადგომა, უცხოელი სპეციალისტების მიერ კონსულტირება დასაწყის ეტაპზე ყველასათვის არის საჭირო.

20-30 წარმატებული ოპერაციის შემდეგ კი გარკვეულ პრაქტიკულ ცოდნა-გამოცდილებას შევიძენთ. ამაღლება კვალიფიკაცია, პროფესიული ოსტატობა, თვითდაჯერებულობის, ოპტიმალური განწყობის ხარისხი, ყოველივე ეს კი იმის გარანტი იქნება, რომ უცხოელ სპეციალისტთა მონიწივე აღარ იქნება საჭირო.

საუბრის დროს ბატონი კახა ოპერაციის ღირებულებასაც შეეხო. საქართველოში ღვიძლის გადანერგვა ორჯერ უფრო ნაკლები ღირს, ვიდრე საზღვარგარეთ. ღვიძლის ტრანსპლანტაციის ღირებულებაა 80 000 — 100 000 ლარამდე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მას

ტეტის დეკანის მოადგილედ, დეკანად, ხელმძღვანელობდა ქირურგიის დეპარტამენტს. უჭრის კალამი. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ კერძოდ, კრაკოვში, ევპატორიაში, ლვოვში, სტამბულში, დელსა და სხვა ქალაქებში გამართულ ფორუმებში.

უზომოდაა შეყვარებული ადამიანებზე, თავის პროფესიაზე და უნდა ეს სიყვარული სტუდენტებსაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი. ჩინებულად ფლობს პედაგოგიურ პროფესიას. იგი ქეშმარიტი პედაგოგი, მოძღვარია. გაცეხებული რჩები მისი სტუდენტებისადმი მიდგომით, ტაქტიკით, გულისხმირებით, პროფესიონალიზმით, აქტიური და ინტერაქტიური სწავლების მეთოდების შემოქმედებითად გამოყენებით.

მედიკოს-პედაგოგი პირადი მაგალითითაც ზრდის აღსაზრდელებს. ცდილობს გულით, მთელი არსებით შეაყვაროს მათ არჩეული პროფესია. აძლევს ჭკვიანურ რჩევა-დარიგებებს, რომელიც სამუდამოდ ივანებს სტუდენტთა სულში.

კარგი ოჯახისა და გვარის შთამომავალმა თავადაც თბი-



ოპერაციიდან პირველი დღე რეციპიენტი და დონორი თავს დაამაყაყოფილებლად ბრძნობს

ენტი იცავს რეჟიმს, იქცევა ექიმების მითითების შესაბამისად მას შეუძლია დღეგრძელის სიცოცხლით იცხოვროს.

რა ფუნქციას ასრულებდნენ ოპერაციის დროს უცხოელი სპეციალისტები და როდის იქნება „რეფერალურში“ ღვიძლის ტრანსპლანტაცია მათ გარეშე შესაძლებელი? - დაუსვა კითხვა პედაგოგს სტუდენტმა.

ჩვენ დამოუკიდებლად ვმუშაობთ, - აღნიშნა მთავარმა სპეციალისტმა კახა ქაშიბაძემ. უცხოელი სპეციალისტების დასწრებას, მათ ჩვენთან ყოფნას სხვა დატვირთვა აქვს. იგი ზრდის დონორისა და რეციპიენტის დაზღვეულობის ხარისხს, ჩვენც უფრო გულიანად, დაიმედებულად, შემართულად, ოპტიმისტური განწყობილებით ვმუშაობთ. პრაქტიკულად ეს ადამიანები, უბრალოდ თვალ-ყურს ადევნებენ ჩვენს მუშაობას. გვაკონტროლებენ, საჭიროების დროს კი გაგვიწვევენ კონსულტირებას და რაღაც გაუთვალისწინებელ შემთხვევებს გადააფარავენ. და თუ მაინც რაიმე

დააფინანსებს, არადა ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში, ლარის გაუფასურების პირობებში აღნიშნულის განხორციელება სასიცოცხლოდაა აუცილებელი.

დასასრულად არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ვთქვათ წარმატებით განხორციელებული, მაღალი კლასის ოპერაციის ინიციატორსა და ორგანიზატორზე ბატონ კახა ქაშიბაძეზე.

ლამაზი ცხოვრების ფურცლები ამშვენებს მის ბიოგრაფიას. იგი ღვთის ბოძებული ხიბლით გამორჩეული ზნემაღალი, კრისტალურად სპეტაკი, განონასწორებული, შთამბეჭდავად რაფინირებული, შინაგანი კულტურითა და სხვა მაღალადამიანური, პედაგოგიური და მედიკოსის ღირსებებით შემკული ღვთისმოსავი პიროვნება, კაცური კაცობის ეტალონი, მაღალი კლასის პროფესიონალი ექიმი, მეცნიერი და მეკვლევარია.

მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანმრთელობის დაცვის ქირურგიული ფაკულ-

ტი, მყუდრო, სტუმართმოყვარეობით გამორჩეული, ლამაზი ოჯახი შექმნა. მას მხარს უმშენებს ცხოვრების ერთგული მეგზური, ყურნალისცხი ლილი მექვაბისეილი. მოსიყვარული მეუღლეები ორ სანაქებო ვაჟიშვილს უზრდიან მამულს. ზაზა მამის კვალს გაჰყვება. ის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეუფლება მედიკოსის ურთულეს და უკეთილშობილეს პროფესიას. ამჟამად იგი ვილინიუსში გადის ერთწლიან სასწავლო პროგრამას. უმცროსი — ნიკა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეუფლება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობას.

წინსვლა და წარმატებები მიიღო ვუსურვო ბატონ კახასა და მის კოლეგებს იმ კეთილშობილურ საქმიანობაში, რომელსაც ადამიანთა გადარჩენა და სიცოცხლის შენარჩუნება ჰქვია. ხელმადლიან დასტაქრებს ჰვარავდეთ ღვთის სიკეთე და მადლი.


საკაპი ზოიძე, პროფესორი



ბრაფტის მომზადება იმპლანტაციისათვის



1918 წლის 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა



პარტიული პრინციპით და-კომპლექტდა. მის თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. ხარლამიძე. ოზაკომის წევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ს-დემოკრატმა ავაკი ჩხენკელმა. ოზაკომი მოღვაწეობას 1917 წლის 18 მარტს შეუდგა თბილისში. ცარიზმის დამხობით შესაძლებელი გახდა პოლიტიკური ძალების თავისუფალი საქმიანობა. ასეთ ვითარებაში შეიქმნა ინტერპარტიული საბჭო - საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის პირველი ნებაყოფლობითი გაერთიანება.

მსოფლიო ომი გრძელდებოდა და გაურკვეველი იყო თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთში. აუცილებელი იყო ქართული პოლიტიკური ძალების შეთანხმებული მოქმედება. ვინაიდან ინტერპარტიული საბჭო პოლიტიკურ ძალთა ნებაყოფლობითი გაერთიანება იყო, იგი არ ყოფილა ქართველი ხალხის მიერ არჩეული, შესაბამისად მას უფლებაც არ ჰქონდა ერის სახელით გამოსულიყო. ამას კარგად გრძობდნენ ინტერპარტიული საბჭოს წევრები და მისი თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი. მეტად რთულ ვითარებაში აუცილებელი იყო ისეთი ლეგიტიმური ორგანოს შექმნა, რომელიც ქართველი ერის სახელით მოქმედებდა. ასე ჩაისახა ეროვნული ყრილობის მონვევის იდეა.

ეროვნული ყრილობის მონვევა თვით ინტერპარტიულმა საბჭომ ითავა. მზადება მისი მონვევისათვის 1917 წ. ზაფხულის ბოლოს დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა.

1917 წ. ოქტომბერში რუსეთში დროებით მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის დაპირისპირება 25 ოქტომბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობის შექმნით დასრულდა. დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მისმა ორგანომ ამიერკავკასიაში - ოზაკომმა. ადგილობრივმა პოლიტიკურმა ძალებმა 1917 წლის 15 ნოემბერს ხელი-სუფლების ახალი ორგანო - ამიერკავკასიის კომისარიატი შექმნეს, რომელიც ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს. ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე გახდა ვევიანი გეგეჭკორი.

ასეთ ვითარებაში გამართა სრულყოფილი საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელიც სახელით დაიხსნა 1917 წ. 19 ნოემბერს, 12 საათზე, თბილისის სახელმწიფო თეატრში. ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და

ლო26 ნოემბერს გამართა ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც აირჩიეს აღმასკომი 15 წევრის და 6 კანდიდატის შემადგენლობით. აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ჟორდანიანი. ამრიგად, შეიქმნა ეროვნული დანსებულება, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ მოწოდებული იყო მომავალში გამხდარიყო საქართველოს ხელისუფლების დამფუძნებელი.

ქართველი პოლიტიკოსები, ისევე როგორც ბევრი ცნობილი მოღვაწე მთელს მსოფლიოში, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა წყობილება რუსეთში მალე დაეშობოდა, კერძოდ - თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრება, როგორც რუსი ხალხის ნების გამომხატველი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თავის ხელში აიღებდა ძალაუფლებას და რუსეთშიც დემოკრატიზაციის გზით განვითარდებოდა. სწორედ ამიტომ არ გადაზარდებულა ქართული პოლიტიკურ ელიტაში ანტიბოლშევიკური და ანტი საბჭოთა განწყობილება ანტირუსულ განწყობილებამ.

პროდასავლური ორიენტაციის საწინააღმდეგოდ იმოქმედა იმხანა, რომ აშკარა გახდა ანტანტის ქვეყნების პოზიცია „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ შესახებ. ეს პოზიცია დადასტურდა 1917 წლის დეკემბერში საქართველოში ანტანტის დიპლომატების ვიზიტის დროს. ანტანტის ელჩებმა პირდაპირ განაცხადეს: „ჩვენ ვცნობთ ერთს, მთლიან რუსეთს და მის დროებით მთავრობას...“

პირველი მსოფლიო ომი გრძელდებოდა, რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ლენინის ხელმძღვანელობით ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით აუცილებლად თვლიდა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან მლაპარაკების დაწყებას. რუსეთთან ზავის დადებით და ომის შეწყვეტით გერმანიასთან ერთად განსაკუთრებით დაინტერესებული იყო თურქეთი.

მდგომარეობა ამიერკავკასიაში ძალზე რთული იყო. აშკარა იყო, რომ, მას ემუქრებოდა როგორც თურქეთის, ისე საბჭოთა რუსეთის საფრთხე. 1918 წლის იანვრის დამდეგსა და შუა ხანებში საბჭოთა რუსეთმა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია სცადა კავკასიის ფრონტად მოხსნის სახედრო შენაერთების გამოყენებით.

1918 წლის 6 იანვარს ლენინის მითითებით გარეკეს დამფუძნებელი კრება, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის ხელმძღვანელები. ბოლშევი-


ქიან ნიკოლოზ (კარლო) ჩხიეძე. ამიერკავკასიის სეიმის შექმნა არსებითად ნიშნავდა იურიდიულად ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისგან, მაგრამ სეიმმა ოფიციალურად თავი შეიკავა გამოცხადებისა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

1918 წ. 12 თებერვალს ოსმალეთის ჯარი კავკასიის საზღვრებისკენ დაიძრა. ვინაიდან დეკემბერ-იანვრის განმავლობაში რუსეთის ჯარი ფაქტურად დაიშალა თურქებმა დაარღვეეს დროებითი ზავი და დაიწყეს ნასვლა და ადვილად დაამარცხეს ახლად შექმნილი ქართული და სომხური სამხედრო ნაწილები.

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის

მომადგენელი ცდილობდა დაეკმაყოფილებინა თურქეთის ტერიტორიოლოგიკური მოთხოვნები თვისი მეზობლის ხარჯზე.

5 აპრილს ამიერკავკასიის დელეგაცია ერთგვარ დაიმობაზე წავიდა. თურქეთის ხელში გადადიოდა ოლთისის მხარე მთლიანად, არტანის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ყალბიზანის დასავლეთი ნაწილი, მაგრამ ეს დათმობა თურქეთს ეცოტავა, არ დათანხმდა და 6 აპრილს აკაკი ჩხენკელმა მიიღო ულტიმატუმი - 48 საათის განმავლობაში გაეცა პასუხი - ლეგულობდა თუ არა იგი ბრეს-ლისტოვსკის ზავის პირობებს. 8 აპრილს თურქეთის ჯარებმა მიიღეს



კვირას 26 მაისს ნაშუადღევს 4სთ. 50 წთ. კავკასიის მეფისნაცვალის ყოფილ რეზიდენციაში, გოლოვინის (დღევ. რუსთაველის) გამზირზე. მონვეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა. სხდომას ესწრებოდა ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი.

მთავრობამ გადაწყვიტა დაექარებინა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება. მომავალ საზავო ხელშეკრულებაში უცვლელად უნდა დაეტოვებინათ ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც არსებობდა რუსეთსა და თურქეთს შორის 1914 წლამდე და მიენდობოდა თურქეთის სახელმწიფო ფარგლებში შემავალი სომხეთის ტერიტორიის ავტონომიისათვის. საზავო დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა აკ. ჩხენკელი.

1918 წ. 3 მარტს რუსეთმა გერმანიისა და მის მოკავშირეებთან გაფორმა ცნობილი ბრესტის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები რუსეთმა თურქეთს „დაეთმო“. თურქეთი ჩქარობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების რეალიზაციას. გადამწავდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების დაწყებას.

7 მარტს ამიერკავკასიის დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა, მეორე დღეს ბათუმში ჩავიდა და იქიდან კრესურ „კარლო კარლოსი“ ტრაპიზონში გაემგზავრა. ამიერკავკასიის დელეგაცია, რომელსაც აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა შეიარაღებული დაცვის ჩათვლით, 100-მდე კაცს ითვლიდა. 8 მარტს დელეგაცია ტრაპიზონში ჩავიდა. ოსმალეთი არ ჩქარობდა კონფერენციის დაწყებას მისი დელეგაცია ტრაპიზონში მხოლოდ, ოთხი დღის დაგვიანებით ჩავიდა. ამასთანავე თურქეთის დელეგაცია მცირერიცხოვანი (სულ 5 კაცი) იყო და მეორეხარისხოვანი თანამდებობის პირებისაგან შედგებოდა. თურქეთის დელეგაციას თავმჯდომარეობდა ჰუსეინ რაუფ ბეი, პირველი რანგის კაპიტანი, საზღვაო დეპარტამენტის მტაბის უფროსი. საზავო მოლაპარაკებები მხოლოდ 14 მარტს დაიწყო.

კონფერენციის მსვლელობის დროს ცხადი გახდა, რომ თურქეთის დელეგაცია რაიმე კომპრომისზე ნასვლას არ არ აპირებდა. ტრაპიზონის კონფერენციის დროს გამოპარვდა ნინაძემდგობა თვით ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებს შორის. აშკარა იყო დელეგაციის აზერბაიჯანელი წევრების პროთურქული ორიენტაცია. ამასთან, ყოველი ეროვნული ჯგუფის წარ-

ბრძანება დაენციოთ შეტევა ამიერკავკასიის ქვეყნებზე.

შემოქმდი ოსმალეთის ჯარს დახვედნენ არარეგულარული სომხთა და ქართველთა რაზმები, რომელთაც ვერ შეძლეს მტრის შეჩერება. გასაგებია, რომ ამ პირობებში ა. ჩხენკელი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია და ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. ამ წინადადებით მან მართა თურქეთის დელეგაციას 1 აპრილს.

თურქეთის დელეგაციის ძირითადი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა - ამიერკავკასიის მთავრობამ იცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები, მაგრამ თურქეთის მთავრობამ უკვე ახალი ტერიტორიული მოთხოვნები წარმოადგინა. ასეთ მძიმე და რთულ ვითარებაში 13 აპრილს ჩატარდა ამიერკავკასიის მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა ირაკლი (კაკი) ნერეთლის რეზოლუცია - გამოწვეულ იქნას ტრაპიზონიდან საზავო დელეგაცია.

სეიმმა მიიღო მანიფესტი ამიერკავკასიის ერებისადმი: სამშობლო განსაცუდელშია. მთავრობამ გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია. ყალიბდებოდა მობილიზაცია რაზმები, დაიწყო იარაღის შეგროვება და სხვ. ამიერკავკასიის მუსლიმური მოსახლეობა ომში მონაწილეობას არ იღებდა, ამიტომ მთელი სიმძიმე ქართველებსა და სომხებს დაწავა.

ამ განსაცდელის ჟამს ვერ მოხერხდა ძალების კონსოლიდაცია. მიუხედავად ქართველებისა და სომხების თავგანწირული ბრძოლისა, მათ ვერ შეძლეს თურქეთის რეგულარული ჯარის შეტევის შეჩერება და თანდათან უკან იხევდნენ. 15 აპრილს ოსმალებმა ბათუმში დაიკავეს, 17 აპრილს - ოზურგეთი. შემდეგ გამართა ბრძოლა მდ. ჩოლოქთან, სადაც ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. მაგრამ ამის მიუხედავად, მათ შეძლეს თითქმის მთელი მესხეთისა და სომხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკავება. ამ წინის განმავლობაში 9 აპრილიდან 23 აპრილამდე თურქეთის ჯარმა აკაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია დაიკავა, ვიდრე ის იყო დადგინილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით. ასეთ ვითარებაში ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

სეიმმა დააკმაყოფილა თურქეთის მოთხოვნა და ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა.

კების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ ე. გეგეჭკორის აზრით, ამიერკავკასიის კანონიერი მთავრობის შესაქმნელად არსებობდა მხოლოდ ერთი გზა - დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დელეგატების მონვევით სეიმის შექმნა, რომელიც პარლამენტის - საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას შეასრულებდა. სეიმის მონვევის იდეა მონივრულ იქნა. მას მხარი დაუჭირეს სახვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის თაოსნობით მონივრული იქნა სეიმი. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ

19 დელეგატი საათობრივ ხმით სულ -343. დელეგატთა შემადგენლობა მრავალფეროვანი იყო, ესწრებოდა თითქმის ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენელი.

ყრილობას დაესწრა კათოლიკოსი კირიონ II, თბილისში მყოფი უცხო ქვეყნების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით. ყრილობა გახსნა აკაკი ჩხენკელმა. 20 ნოემბერს მოხსენება „დღევანდელი მომენტის და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“ გააკეთა ნიე ჟორდანიანი. ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული, ხო-

ქართველ ხალხს, რომელსაც სახელმწიფოებრიობის თითქმის სამიათასწლიანი ისტორია გააჩნია, მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არაერთხელ მოუწინა დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლა. სხვადასხვა ეპოქაში ქართულ სახელმწიფოს და საბოლოოდ ქართველობის გაქრობას ლამობდნენ ასურელები, ურარტელები, რომაელები, ირანელები, ბიზანტიელები, არაბები, სელჩუკები, მონღოლები, ოსმალები. XIX ს. დასაწყისში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ქართველობა ყველა შესაძლო საშუალებით იბრძოდა ცარიზმის ბატონობისგან გასათავისუფლებლად, მაგრამ ყველა ეს მცდელობა, სამწუხაროდ, მარცხით დამთავრდა, მაგრამ იდეა საქართველოს გამოხსნისა არ გამქრალა. ამ იდეის განხორციელების რეალური შესაძლებლობა გაჩნდა I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. ამას მოჰყვა ქართული პოლიტიკური ძალების გააქტიურება.

ჯერ კიდევ 1913 წელს საზღვარგარეთ, ფენევაში, საქართველოდან გადახვეწილმა ქართველ-დემოკრატთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა პატრიოტული ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო“ და შეუდგა ასეთივე სახელწოდების ჟურნალის გამოცემას. მათი ძირითადი ამოცანა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა იყო. ცარიზმის აგენტურის მონაცემებით ამ ორგანიზაციის დამფუძნებლები და აქტიური წევრები იყვნენ: პ. სურგულაძე, ვ. ჩერქეზოშვილი, მ. წერეთელი, გ. მანაგელი, ძმები კერესელიძეები.

სწორედ ამ ჯგუფებმა შეადგინა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი“ ძირითადი ბირთვი.

ომის დაწყებისთანავე „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ფენევიდან ბერლინში გადავიდა. აქ გერმანიის მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ, გერმანია მხარს დაუჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები სტამბულში გაემგზავრნენ თურქეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

„დამოუკიდებელი კომიტეტი“ შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას ამ მიზნით შეიზმნა ქართული ლეგიონი ოსმალეთში, რომლის მეშვეობითაც კომიტეტს სურდა რუსეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება კავკასიის ფრონტზე. ლეგიონის შედგენა დაევა ლეო კერესელიძეს და გერმანელ ოფიცერს - კიშკეს, რომელიც ქართული კომიტეტის სამხედრო მრჩეველი იყო.

პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის იმპერიაში არაერთი პრობლემა გააჩნვევა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული საკითხი იყო. პოპულარული გახდა ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა. I მსოფლიო ომმა რუსეთში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, რასაც რევოლუცია მოჰყვა.

1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ რუსეთში დაამხო მეფის თვითმპყრობელი რეჟიმი და იმედით სავსე იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციით დასრულდა კავკასიის სამეფინაცილოს არსებობა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ კავკასიის მართვა ჩააბარა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს), რომელიც ეროვნული და



აჭარის ტრადიციული ხელბურის დღე თბილისში

ე. გეგეჭკორის მთავრობა (ამიერკავკასიის კომისარიატი) გადადგა და ახალი, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შედგენა დაევალა ა. ჩხენკელს. სემმა დაამტკიცა ამიერკავკასიის ფედერაციული მთავრობის შემადგენლობის თავეჯდომარე გახდა აკ. ჩხენკელი. აკ. ჩხენკელმა აცნობა თურქეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობას სურვილი აქვს განახლოს მოლაპარაკება, ხოლო სხვა მთავრობის მთავრობის მთავარსარდალს ვეკიბ-ფაშას სთხოვა შეეჩერებინა საომარი მოქმედება, ვიდრე არ დამთავრდება საზავო მოლაპარაკება. მაგრამ თურქებმა მაინც დაარღვიეს პირობა, დაიკვირეს ყარსი და გაემართნენ ალექსანდრეპოლისაკენ. აკ. ჩხენკელმა პროტესტი გამოაცხადა ოსმალთა ამ მოქმედების გამო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

24 აპრილს ვეკიბ-ფაშამ შეატყობინა აკაკი ჩხენკელს: 1. თურქეთის მთავრობამ ცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. 2. თურქეთის მთავრობამ მიიღო ამიერკავკასიის დელეგაციის წინადადება ბათუმში მოლაპარაკების განახლებაზე.

ამიერკავკასიის მთავრობამ დაამტკიცა ბათუმის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაცია 45 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი. მისი ამიერკავკასიის დელეგაცია ბათუმში ჩავიდა, მაგრამ არა როგორც მასპინძელი, არამედ ოსმალეთის სტუმარი. თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე იყო ჰალილ-ბეი, ოუსტიციისა და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრი. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე იყო გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი, გერმანიელ მთავარი შტაბის რწმუნებული სტამბოლში.

თურქეთის მთავრობის ინიციატივით ბათუმში ჩამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დელეგაცია.

11 მაისს გაიხსნა ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია. პალი-ბეის განცხადებით, მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დასდებოდეს თურქეთის მიერ შემოთავაზებული საზავო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც მან გადასცა ამიერკავკასიის დელეგაციას. ამ საზავო ხელშეკრულების პირობები გაცილებით უფრო მძიმე იყო ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების პირობები. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ტერიტორიული პრეტენზიები: თურქეთი აღარ კაპაყოფილდებოდა ყარსის, არტაანისა და ბათუმის მხარეების შეერთებით და დამატებით მოითხოვდა ახალქალაქის, ახალციხის, ალექსანდროპოლის, ეჩმიადინისა და სურმალინის მხარეების გადაცემას. ამრიგად, თურქები ცდილობდნენ მიეღწიათ რუსეთ-თურქეთის შორის 1829 წლამდე არსებული საზღვრის აღდგენა.

ამიერკავკასიის დელეგაციამ უარყო თურქეთის ეს მოთხოვნა.

19 მაისს გერმანიის წარმომადგენელმა ფონ ლოსოვმა ამიერკავკასიის დელეგაციას აცნობა: „გინიდან თქვენსა და ოსმალეთის შორის მოლაპარაკება წინ არ მიინევის. წინადადებას ვიდრე მოხმაროთ ჩემი კეთილი შუამდგომლობა.“ გერმანიის დელეგაცია არ იყო დაინტერესებული თურქეთის პოზიციების ესოდენ გაძლიერებით და ცდილობდა თურქეთის პრეტენზიები შემოეფარგლა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობებით.

აკაკი ჩხენკელს მიეცა შესაძლებლობა დაეწყო გერმანიის დახმარებით საქართველოში

ბათუმში კონფერენციაზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აკ. ჩხენკელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებლად იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ვითარების გასარკვევად ბათუმში გამოცხადებულ იქნა ნოე ჟორდანიას იგი მოგონებებში წერს: „ბათუმიდან მივიღე დეკრეტი, ჩავედი, დამხვდა შემზარავი სურათი. მივედი იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი იყო: სემის დაშლა და სამი ერის მიერ თავთავის დამოუკიდებლობის გამოცხადება...“

21 მაისს ნ. ჟორდანიას თბილისში დაბრუნდა და ენერგიულად მოკიდა ხელი დასახული ამოცანის განხორციელებას. 1918 წლის 23 მაისს შეიკრება ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომა, რომელსაც ნ. ჟორდანიამ გააცნო ბათუმიდან აკ. ჩხენკელის გამოგზავნილი წერილი, რომელშიც იგი მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ეროვნულ საბჭოს სხდომის მონაწილე და დამოუკიდებლობის გამოცხადება გადაწყდა 26 მაისისათვის. 1918 წლის 26 მაისს გაიმართა ამიერკავკასიის სემის უკანასკნელი სხდომა. რომელმაც, მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შესახებ. კ. ჩხეიძემ მხოფლიოს ქვეყნებს ტელეგრაფით აცნო კომისიის შემადგენლობითი ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა. სხდომას ესწრებოდა ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი. იგი გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. პრეზიდიუმში იყვნენ: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე და ეროვნულ საბჭოთა მდივანი ილია ზურაბიშვილი. ნ. ჟორდანიამ შეკრებილთ მიმართა: „მოქალაქეო! დღეს თქვენ აქ მოხმე იყავით ერთი ისტორიული, იშვიათი და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა ამავე დარბაზში ყურება საფუძველი მორე სახელმწიფოს.“ სიტყვის დამთავრების შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელმაც რეალურად აქცია ქართველთა მრავალი თაობის აუხდენელი ოცნება.

აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულყოფილია და დამოუკიდებელი სახელმწიფოა.“ შემდეგ მან წაიკითხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც დარბაზში მყოფთ ფეხზე მდგომმა მოისმინეს. აცხადებდა, რომ ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა ხოლო მისი მმართველობის პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. ილია ზურაბიშვილი აივანზე გავიდა და „დამოუკიდებლობის აქტი“ შეკრებილთ წაუკითხა. გრიგოლ ვეშაპელმა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ დარბაზში რუსულ ენაზე წაიკითხა. ამის შემდეგ ნ. ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს წევრებს და კანდიდატებს კითხვით მიმართა: უჭერდნენ თუ არა მხარს „დამოუკიდებლობის აქტს“.

ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შეზღოვების გარეშე დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და დასაქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა: ნოე რამიშვილი - მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი; გრიგოლ გი-



2015 წლის 7 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალმნიანი კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ეგიდით გაიმართა მთიანი აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გიორგი დონაძე (ფოლკლორის ცენტრის დირექტორი); რუსუდან წურწუშია (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალმნიანი კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი). კონფერენციაზე წარმოადგინეს სამეცნიერო მოხსენებები:

თონა არუხაძემ (საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საერთაშორისო სამსახურის კოორდინატორი, ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი) — წიბონისა და მეჭობინების ტრადიცია აჭარაში (2014 წ. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საექსპედიციო მასალების საფუძველზე); **როინ მალაყმაძემ** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი) — სახალხო დღესასწაულები მთიანი აჭარაში; **შუშანა ფუტყარაძემ** (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. **ნაილე მიქელაძემ** (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი

მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი) წიგნის — „აჭარული საუნჯის“ პრეზენტაცია; **თონა ლომსაძემ** (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალმნიანი კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი) — აჭარული ფოლკლორის კვლევის ტრადიცია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში; **ერმილე მესხია** (ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი) — მუსიკალური ფოლკლორის კვლევის პერსპექტივების შესახებ; **ელზა ფუტყარაძემ** (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი) — აჭარულ მუჰაჯირთა პოეტური მემკვიდრეობა; **ლოლიტა სურმაძემ** (ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგი) — ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონო-არქივის პრეზენტაცია.

დასასრულს, შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორულმა ანსამბლმა „შუახევი“ — წარმოადგინა ფოლკლორულ მო-



ტივებზე შექმნილი ნომრები (ხელმძღვანელი **ლოლიტა სურმაძემ**). ასევე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, სპეციალისტის დოკუმენტალისტი გივი ნახუცრიშვილის მიერ მოწყობილი ფოტო-გამოფენა „მთიანი აჭარის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“ და დოკუმენტური ფილმის „წიბონის ქვაბული“ ჩვენება.

აჭარის ტრადიციული კულტურის დღე ერთობ საინტერესოდ ჩატარდა. მან ერთხელ კიდევ წარმოაჩინა აჭარული ფოლკლორის მნიშვნელობა და როლი ზოგადქართულ ხალხურ სიტყვიერებაში.

ნაილე მიქელაძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

შეიქმნა ეროვნული დანესებულება, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ მონოდებული იყო მომავალში გამხდარიყო საქართველოს ხელისუფლების დამფუძნებელი.

ლოს გადარჩენის გეგმის შემუშავება. იგი ბათუმიდან საიდუმლო წეროლს უგზავნი ეროვნულ საბჭოს და არწმუნებს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელია.

საქართველო-გერმანიის დაახლოებას ორმხრივი საფუძველი შექმნიდა. საქართველოს გერმანია სჭირდებოდა თურქეთის აგრესიისგან თავდაცვისათვის, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ - ამ დამოუკიდებლობის გარანტი. გერმანიასაც სჭირდებოდა საქართველო თავისი აღმოსავლური პოლიტიკის გასატარებლად.

ბათუმის კონფერენციის მსვლელობის დროს კიდევ უფრო გამწვანდა უთანხმოებანი დელეგაციის წევრებს შორის. არსებობდა, შეუძლებელი გახდა კონფერენციის წარმატებით დასრულება და დადგა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შესახებ.

ორგაძე - სანხედრო მინისტრი; გიორგი ჟურული - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი; გიორგი ლასხიშვილი - სახალხო განათლების მინისტრი; ნოე ხომერიკი - მინათობის მინისტრი; შალვა მესხიშვილი - ოუსტიციის მინისტრი; ივანე ლორთქიფანიძე - გზათა მინისტრი. საქართველოს ერპუნული საბჭოს სხდომა დამთავრდა ნაშუადღევს 5 საათსა და 55 წუთზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს ახალ ისტორიაში უდიდესი მოვლენაა. დამოუკიდებლობის აღდგენით წარმატებით დასრულდა ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის წარმოებული ხანგრძლივი, დაძაბული ბრძოლა და 117 წლის შემდეგ საქართველომ კვლავ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება.

ჯემალ კარალიძე
ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო ხონფერენციაზე თბილისში

2015 წლის 28-29 მაისს თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ მამია დუმბაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც წარმომადგენლობითი შემადგენლობით წარსდგა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კოლექტივი.

აღნიშნულ კონფერენციაზე ბათუმიდან ჩასულმა სტუმრებმა ნაიკითხეს შემიძლია მოხსენებები: ბიჭიკო დიასამიძე — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლნი (სელიმ ხიმშიაშვილი და მისი შთამომავლები), სიმონ გოგიტიძე — ხაიასა-აყის ეთნიკური კუთვნილება, ოლეგ ჯიბაძე — ლაზები ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის სამსახურში, უჩა ოქრობირიძე — „კეთილგვაროვანი ოქრობირიძე“ — ოქრობირიძეთა გვარის წარმოშობის ისტორიიდან,

ოთარ გოგოლიშვილი — ფრანგი მოგზაურები აჭარის შესახებ, ოთარ თურმანიძე — მამია დუმბაძე დიმიტრი ბაქრაძის შესახებ, ნაილე მიქელაძე — აჭარის ფოლკლორში შემონახული ერთი ქრისტიანული ტრადიციის შესახებ.

მოხსენებებმა დამსწრე ფართო სამეცნიერო საზოგადოების დიდი დაინტერესება და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

სამეცნიერო დისკუსიებსა და დებატებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბათუმიდან ჩამობრძანებულმა სტუმრებმა; გამოითქვა საკმაო რაოდენობის საინტერესო მოსაზრებანი კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკის ირგვლივ.

კონფერენციამ საქმიან, მეგობრულ და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა. კონფერენციის ორგანიზატორი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

უჩა ოქრობირიძე

ისტორიის დოქტორი, პროფესორი



„...ხატილგვაროვანი ოქროპირიძენი“ -

ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის ისტორიიდან

ოქროპირიძეთა გვარი, როგორც ქართულ გვართა უმრავლესობა პიროვნების სახელისაგან, კერძოდ, ოქროპირისაგან შეიძლება იყოს წარმოშობილი. (ოქროპირი ნიშნავს მჭევრმეტყველს, ორატორს, მოძღვარს). ცნობილი ისტორიული პიროვნება იყო ერთ-ერთი უდიდესი ღვთისმეტყველი, მეცნიერი და მწერალი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი (347-407 წლები), რომელიც სიცოცხლის ბოლოს აფხაზეთის ბიჭვინთაში გადმოასახლეს და იქ მიმავალი გზად კომანაში (კამანში) გარდაიცვალა. ქართლის კათალიკოსი იყო წმინდა იოანე (მეოთხე) ოქროპირი (980-1001 წ. წ.), რომელიც პარხლის ტაძრის (XI ს-ის) წარწერებში სახელდება „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთის პატრიარქად“, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში პატრიარქის ტიტული ამ დროიდან არსებობდა და ამ წოდების პირველ მატარებელად სწორედ ეს იოანე მეოთხე ოქროპირი შეიძლება მივიჩნიოთ 1033-1048 წლებში კი ქართლის კათალიკოსი ყოფილა იოანე (მეხუთე) ოქროპირი, რომელიც იხსენიება საეკლესიო კრების დადგენილებაში შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის შესახებ. იმავე პიროვნების შესახება საუბარი „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში, თედო ყორღანის „ქრონიკებში“ და სხვაგანაც. შემდგომ საუკუნეებშიც ამ სახელით არაერთი სასულიერო პირია მოხსენებული.

აჭარის ერისთავთ-ერისთავს ცნობილ მწერალს, ასტრონომსა და ფილოსოფოსს ტბელ აბუსერისძეს ეკუთვნის ნაშრომი „გალობა წმიდათა იოანეთა ნათლისმცემელთა, მახარებელისა ოქროპირისა“... ოქროპირი მოხსენიებულია ტბეთის სულთა მატეანეში, „თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერების“ ტექსტში, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრებში და სხვ.

აჭარაში მირათის ხეობის ისტორიულ ძეგლებს შორის საყურადღებოა მდინარეების ჩირუხისა და უჩამბის შესართავთან შუახევის, იგივე ოქროპირაულის ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომლის კავშირი ოქროპირიძეთა გვართან გარკვეული არ არის.

ქართლის ოქროპირიძეთა გვარში შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით (14. მთხრობელი ზურაბ ოქროპირიძე — დისევი, 65 წლის), ამ გვარის მამამთავარი იყო დავით აღმაშენებლის თანამედროვე საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე იოანე მახარებელი (დისეველ ოქროპირიძეთა ერთ-ერთ შტოს სწორედ მახარებელია წარმოადგენს), რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დავითის მიერ გატარებულ რეფორმებსა და სახელმწიფოს აღმაშენებლობის საქმეში; ამის გამო სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ ღვაწლის დასაფასებლად მეფის მისთვის მამული უბოძებია სამემკვიდროდ, რასაც დავითის დამ საკუთრივ მისი კუთვნილი სოფელიც საჩუქრად დაუმატა, რომელიც აღნიშნულ მამულს ზემოდან საზღვრავდა. ამიტომაც ამ სოფელს ხალხმა დისეული, ანუ მეფის დის მიერ ნაბოძები

უნოდა. ეს არის სწორედ ოქროპირიძეთა ბუდე-სამშობლო, სოფელი დისევი. ამავე გადმოცემის თანახმად იოანე მახარებლისათვის დავით აღმაშენებელსვე მიუცია გვარი ოქროპირისძე. ამასთან ცნობილი ფაქტია დავით აღმაშენებლის მიერვე გაცემული გუჯარის ოქროპირიძეთა ოჯახში დაცულობის შესახებ.

?ნობილი მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე თავის ნაშრომში მიუთითებს: „ალექსანდრე ბესარიონისძე ოქროპირიძემ დისევი გვიჩვენა ერთი გუჯარის ასლი, რომლის დედანი მცხეთის სიონის არქივში ინახებოდა და ეს პირი დეკანოზ გაბრიელ ოქროპირიძემ გადაიღო. აქვე მყოფი მოხუცი ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე ამბობს, — აღნიშნულია ავტორის იმავე წყაროში — ჩვენს წინაპრებს მუდამ საჩივარი ჰქონდათ. დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო.“

ალექსანდრე გვიჩვენა პაპამისის განცხადების პირი, — განაგრძობს იგივე ავტორი, — რომელშიც ის მართლაც ჩივის: დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ჩვენი, ოქროპირიძეების, იყო და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო. ამ განცხადებას ხსენებული გუჯარის პირს ვურთავთ და გთხოვთ, ჩვენი ჩვენ მოგვამაროთ.“ [მეგრელიძე, 1963: 30-31] მოცემულ გუჯარში ოქროპირიძეთა ამ საგულგებელი მამულის მცხეთის სვეტიცხოველზე გადაცემის, მისი საზღვრებისა და მასთან ერთად „კეთილგვაროვან ოქროპირიძეთა“ მისთვის შეწირვის შესახებ არის აღნიშნული.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფლის, გვარის მფარველი წმინდანი უძველესი დროიდან დღემდე, იოანე მახარებელია, რომელიც ქართულ სასულიერო-საისტორიო თხზულებებში არაერთხელ მოიხსენიება ოქროპირად. მაგ: ტბელ აბუსერისძის „გალობა წმიდათა იოანეთა: ნათლისმცემელთა, მახარებელისა ოქროპირისა...“.

რაც შეეხება ოქროპირიძეთა გვარის ფორმირება-წარმოშობას, ბაგრატ III-ის რეფორმის პერიოდის ამსახველი რამდენიმე დოკუმენტი იძლევა იმის საშუალებას, დაფუძვით ვარაუდი, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ ამ მეფის დროს და შეიძლება უფრო ადრეც დაწყებულიყო. 1074 წელს დაწერილი ათონის ტყავის წიგნში (თედო ყორღანისა და წიგნის დედანს ათონის მანუსკრიპტს უწოდებს და თვლის, რომ იგი დაწერილია 1028 წლამდე) 1011 წლის თარიღის ქვეშ ნათქვამია: „...ქრისტე შეიწყალე ბერი იოანე გრძელისძე და სულიერი Dშვილი მათი იოანე ოქროპირი...“ რომელთა მიერ აღიწერა წმინდა ესე წიგნი. მოიხსენიეს სულიერი ძმაი ჩემი გარეჩელი წმ. ლოცვასა თქვენსა“... იქვე წმინდა თეოდოსის ცხოვრების აღწერის ბოლოსაც, 1013 წლის ქვეშ, აღნიშნულია, რომ „... მოიხსენიეს წმ. ლოცვასა თქვენსა ბერი იოანე გრძელისძე და იოანე ოქროპირი და საბა და ივანე გარეჩელი“... შეიძლება დაიშვას

ვარაუდი, რომ აქ საქმე გვაქვს ოქროპირის, როგორც გვარის პირველად ხსენებასთან, რადგან ვფიქრობთ, რომ ორივე დოკუმენტში იოანე გრძელისძე და ივანე გარეჩელი (ისევე როგორც ჯაყელი, თორელი, თუხარელი თუ სხვა) გვარის მნიშვნელობითაა მოხსენებული. ამიტომაც სრულიად დასაშვებია, რომ ამ შემთხვევაში ოქროპირი გვარის მნიშვნელობით იყოს ნახმარი, რაც საკმაოდ ბუნებრივად გამოიყურება.

ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მიჩნევს, რომ ოქროპირიძეთა წინაპარი, სახელად ოქროპირი, ლიხვის ხეობის უკიდურესი ზემო წელიდან, ისტორიული დედალეთიდან გადმოსახლდა დისევიში.

საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისაი-ს“ მიხედვით ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა გამოარჩია შიდა ქართლის რამდენიმე სოფელი „შესავალითა მისითა“ სვეტიცხოველისათვის შესანიშნავად. მის შემდგომ პერიოდზე კი ასე მოგვითხრობს იგივე მატიანე: „და გარდაიცვალა წმიდა ესე და ან ნარუმარეთს ღმერთმან ოქროპირს, მელქისედეკისაგან შვილად გაზრდილსა. დაჯდა კათალიკოს-პატრიარქად ოქროპირი და ამანცა მრავალი შემატა დიდსა კათოლიკე ეკლესიასა... წმიდამან ამან კათალიკოს-პატრიარქმან ოქროპირმა მრავალი ეკლესია აღაშენა და განაახლა...“.

ამასთან უნდა ითქვას, რომ ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი თქმულება-წარმოდგენები, ხშირ შემთხვევაში, ისტორიული სინამდვილის ადამიანთა ხსოვნაში დაღეჭილი რეალობის გამითიურებული ასახვაა; ყოველივე ამას თუ დავუმატებთ ზემო აღნიშნულ სხვა გარემოებათ და მათი ანალიზის მიხედვით ვიმსჯელებთ, შესაძლებელია, რომ ოქროპირიძეთა გვარის ეთნარქი, იოანე-????? მახარებელი, სწორედ ქართლის კათალიკოს-პატრიარქების ოქროპირი IV-ისა და ოქროპირ V-ის ნათესავ-შთამომავალი ყოფილიყო (დროშიც კარგად ემთხვევა მათი ზეობის ხანა, 980-1001 და 1033-1048 წლები, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის წინა პერიოდს) და იქნებ სწორედ ამის გათვალისწინებით მისცა დავით მეფემ მას გვარად ოქროპირისძე. ამასთან, როგორც ისტორიული რეალობა და „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“ გვიჩვენებს სახელ ოქროპირის მატარებელ პიროვნებათა უმრავლესობა საეკლესიო მოღვაწეა.

სავარაუდოა, რომ დავით აღმაშენებელმა ოქროპირიძეებს გამოარჩეული დამსახურებისათვის უბოძა ეს მიდამო და სოფელი დისევი „თავის სამართლიანის სამზღვრებით“ შესწირა სვეტიცხოველს. აღნიშნული აზრი გაზიარებულია გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის 210-ე ნომერშიც. მკვლევარ იოსებ მეგრელიძეს ნაშრომში „წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიხვის ხეობაში“, [მეგრელიძე, 1963: 30-31] მოჰყავს ცნობილი სასულიერო მოღვაწეების გაბრიელ დეკანოზის [(1824-1904), მღვდლის

ალექსანდრე ოქროპირიძის, დიკვან ვლადიმერ ოქროპირიძის და სხვათა საჩივრები: „დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ჩვენი, ოქროპირიძეების იყო და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო“. [იქვე]

საქართველოს დამსახურებული ექიმი, პროფესორი ბესარიონ ოქროპირიძე წერდა: „ჩვენს წინაპრებს მუდამ საჩივარი ჰქონდათ, დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო...“

სიგელი, რომელზეც ვსაუბრობთ, XVIII ს-ის II ნახევარში სიძველის გამო ერეკლე მეორის თხოვნით განუახლებია ანტონ კათალიკოსს. თავად ტექსტი ანტონ კათალიკოსმა გადაანერინა დეკანოზ იოვანეს. ცნობილი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე აღნიშნულ დოკუმენტს უფრო „გალობანი სინანულისანის“ ავტორისად მიიჩნევს.

სიგელში ვკითხულობთ: „ქნებითა ღვთისათა ჩვენ მეფეთა მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავალ-დასავალამდე მპყრობელ პატრონმა ხელმწიფემან დავით და ძემან-ჩემან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილობელი შემონირულობისა სიგელი მოგახსენეთქვენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ სოფელი დისევი თავის სამართლიანის სამზღვრებითა. და ამ საზღვრების მითითების შემდეგ, იქვე ნათქვამია, რომ ეს სოფელი დისევი მრგვლივ სამზღვრით შემოგწინარამს ყოველის კაცის უცილებლად და ულაპარაკოდ და ხელშეუშლელად მოგვირთმეგია და კაცნი შემოგწინარამს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი მოსახლენი დავით და ნიკოლოზ.“

რიგ გარემოებათა გამო მიგვაჩინა, რომ აღნიშნული დოკუმენტი წმინდა დავით აღმაშენებლის ხელიდან მომდინარეობს. წინამდებარე სიგელში მოყვანილი სამეფო ტიტულატურა, „მეფეთა მეფე აფხაზეთისათა და აღმოსავალ-დასავალამდე მპყრობელ პატრონი“, დიდგორის შემოქმედს უფრო შეეფერება, ვიდრე დანაწევრებული, ისიც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მეფეს. რადგან ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ დავით X არა სიგელის ავტორი, არამედ სიძველის გამო, პატარა კახის მსგავსად, მისი განმარტებულია და გარკვეული ცდომილებანი რომელიმე გადაწერის შეცდომამ გამოიწვია. ამასთან ცნობილია 1392 წელს შედგენილი სია მცხეთის საეკლესიო მამულებისა, რომელშიც საქართველოს სხვა სოფლებთან ერთად პირდაპირ შეტანილია სოფ. დისევიც. მასში ნათქვამია: „...კუალად სოფელი ზერტი თვისითა მამულითა, ნასოფლარი, სათიბი; სოფელი ქვეში; სოფელი ფლავი; სოფელი დისევი; ადრე მოხსენიებულ გუჯართა მონაცემებსაც თუ გაითვალისწინებთ, ყველაფერი ეს მისი დასტურია, რომ იგი 1516 წლამდე დიდი ხნით ადრე უკვე შეწირულია სვეტიცხოველისადმი.

და ბოლოს, ჩვენი ამ შეხედულებებისა და აღნიშნული სიგელის დავით აღმაშენებლისადმი კუთვნილების ირიბ დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ 1534 წელს ნიკორწმინდის ხუცურად დაწერილი სიგელიც გაცემული იმერთა მეფის ბაგრატ მესამის მიერ, რომელშიც ნათქვამია: „...შემოგწინრეთ სოფელი და დაბანი ...თქნ წ-ო გ-ი მთისა მთავარმონამო! როგორათაც დავით აღმაშენებლისაგან და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემონირული ყოფილიყო...“, და „...ჩვენ მეფეთა მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავალ-დასავალამდე მპყრობელ პატრონმა ხელმწიფემან დავით და ძემან ჩემმან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილობელი შემონირულებისა სიგელი მოგახსენეთ...“, როგორაც დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეული ჩვენი გვარის მომხსენებელი გუჯარი იხყება, ფაქტიურად უნდა მიუთითებდეს ამ ორ დოკუმენტში მოხსენებულ პიროვნებათა იდენტურობაზე.

აგრეთვე აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თ. ყორღანისა „ქრონიკების“ მეორე ტომში აღწერს [გვ. 344-345] 1519 წლის ქვათახევის მონასტერზე შეწირულების სიგელში, 1526 წლის მცხეთისა [გვ. 368-369] და 1550 წლის [გვ. 390-391] ქვათახევის სიგელებში, ყველაგან მოხსენიებულია მეფე დავით მეათის შვილები, — ლუარსაბი, ადრანაზი და რამაზი. ერთადერთი დოკუმენტი, სადაც ამ მეფის შვილები დიმიტრია მოხსენიებული, არის „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში აღწერს ცნობა, ზუსტად 1518 წლის ქვეშ, თ. ყორღანისა ზემოთ დასახელებულ ქრონიკებში [გვ. 335] ოთხჯერაა საუბარი და არცერთხელ არ არის ნახსენები დიმიტრი უფლისწული (ყველაგან ლაპარაკია ლუარსაბი?, ადრანანისა და რამაზის შესახებ), რაც „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაშვებულ უზუსტობაზე უნდა მიუთითებდეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, კიდევ ერთხელ ჩვენი მოსაზრებების სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ხსენებული წყალობის სიგელი უცილობლად დავით აღმაშენებლის ხელიდან უნდა იყოს გამოსული.

თუ თვალს გადავავლებთ ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებს, წყალობის წიგნებს, დავრწმუნდებით, როგორი სიზუსტით არიან ისინი შედგენილი. შემწირველი ადრესატისადმი შეწირულ ყველა წერილმანს აღწერს. დავით აღმაშენებლის მიერ ოქროპირიძეებისადმი ნაწყალობე სიგელში ზედმიწევნითაა ნაჩვენები სვეტიცხოველისადმი ბოძებული დისევის საზღვრები. სიგელი ოქროპირიძეებს „კეთილგვაროვანთ“ უწოდებს. როგორც ჩანს, დიდმა დავითმა „კეთილგვაროვან“ ოქროპირიძეებს ოფიციალურად უბოძა ვრცელი ტერიტორია და იგი დაუქვემდებარა მცხეთის სვეტიცხოველს, რითაც გაგრძელდა მათი თავდადებული მსახურება სამშობლოსა და დედა ეკლესიისადმი.

უნა ოქროპირიძე
ისტორიის დოქტორი,
პროფესორი



საგამოცდო ცენტრში რეიტინგული გამოცდები დასრულდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში ჩატარებული რეიტინგული გამოცდების შედეგებზე ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ აბესალომ ასლანიძეს ვესაუბრებით:

— ბატონო აბესალომ, როგორ შეხვდით უკვე გასულ რეიტინგულ გამოცდებს?

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნარ-ჩვევებისა და გამოცდების ცენტრი 2014-2015 სასწავლო წლის მეორე სემესტრის რეიტინგულ გამოცდებს მომზადებული შეხვდა. პრეტექტულად ყველა საგამოცდო საგნის ტესტი პედაგოგებთან ერთად შემოწმებული იქნა, და-

მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტები. სიძნელეების მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ ცენტრმა კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მხოლოდ ერთხელ, გამოცდების ბოლო დღეს ავარიულად გამოირთო შუქი და რამდენიმე საათით მოგვიხდა გამოცდების გადაწვევა. მინდა ვთქვა, რომ ამ ფაქტს გაგებით შეხვდნენ როგორც ცენტრი თანამშრომლები, ისე სტუდენტები და საბოლოოდ გამოცდებმა ჩაიარა ნორმალურად, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა როგორც თანამშრომლებს, ისე სტუდენტებს.

— სტუდენტების მხრიდან ცენტრის საქმიანობაზე ხომ არ ყოფილა რაიმე სახის პრეტენზიები?



იხვენა და გასწორდა ტექნიკური ხარვეზები, რამაც მინიმუმამდე შეამცირა აპელაციები სტუდენტების მხრიდან. მოვემზადეთ ტექნიკური თვალსაზრისითაც: შემოწმება გაიარა ყველა კომპიუტერმა, წინასწარ გაიგზავნა წერილი შესაბამის სამსახურებში ელექტრონერგის შეუფერხებლად მოწოდებაზე გამოცდების დროს, დაწესდა დაცვის პოლიციელთა მორიგეობა საგამოცდო კლასებთან.

მოგეხსენებათ სტუდენტები ყველა საგანში გამოცდებს საგამოცდო ცენტრში არ აბარებენ და ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენთან ცხრილები დროულად იქნა გაკეთებული, რომელთან თანხმობაშიც კეთდება საგამოცდო ცხრილები ფაკულტეტებზე. ვფიქრობთ, ჩვენთან ცხრილების დროულად გაკეთება, საკმაოდ უიოლებს თავინთ საქმეს დეკანატებსაც.

— გამოცდების დროს რაიმე შეფერხება ხომ არ გქონიათ?

— გამოცდების დროს გარკვეული სიძნელეებს წავაწყდით იმის გამო, რომ ახალი წლიდან შეგვიმცირეს თანამშრომლები და ყველა საგამოცდო კლასს აღარ ჰყავს თავისი დამკვირვებელი, ამიტომაც მოგვიხდა ფაკულტეტების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დამკვირვებლად შეგვეშვა დეკანატების თანამშრომლები, რაც ყოველთვის ორგანიზებულად ვერ ხერხდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებული დახმარება გაგვინია უნივერსიტეტის ხარისხის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა, ქალბატონებმა ნარგიზ ვარშალომიძემ და ნინო ოქელაშვილმა. ასევე დაგვეხმარა სასწავლო დეპარტამენტი, ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური, ფიზიკა-

— ცენტრის მიმართ სტუდენტებს ნამდვილად არ ჰქონიათ პრეტენზიები, მაგრამ მათ უკმაყოფილებას ხშირად იწვევს ის ფაქტი, რომ დეკანატებიდან გადმოცემული სტუდენტთა სიები არასრულყოფილია. სტუდენტი ჯდება კომპიუტერთან და ვერ იწყებს გამოცდას იმის გამო, რომ ის არაა გადმოცემულ სიებში, ამიტომ ჩვენ გვიხდება ამ ხარვეზის გამოსწორება. უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა. წარმოიდგინეთ, როდესაც სიაში არაა მთელი ჯგუფი და სათითაოდ უნდა შევიყვანოთ სიაში, რომ სტუდენტმა შეძლოს გამოცდის ჩაბარება. ვცდილობთ, წარმოქმნილი ხარვეზები აქვე, ცენტრში გამოვასწოროთ.

— სულ რამდენ საგანში ტარდება რეიტინგული გამოცდა და რამდენმა სტუდენტმა ჩააბარა?

— რეიტინგულ გამოცდებზე საგნების რაოდენობა იზრდება ყოველწლიურად და ამჯერად შეადგინა 160 (საგნების რაოდენობას ზრდის ის, რომ ერთსა და იმავე საგანს სწავლობს რამდენიმე ჯგუფი). გვაქვს 7000-მდე შედეგი, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე სტუდენტმა საგამოცდო ცენტრში ჩააბარა რამდენიმე საგანი. ეს რეიტინგული გამოცდებია და აქ ვერ ვიტყვით, თუ ვინ ჩააბარა და ვინ ვერა, რადგანაც აქ როგორც ასეთი, ჩაჭრა არ არსებობს.

— გამოცდების შემდეგ თუ ჯამდება შედეგები?

— აუცილებლად. გამოცდების დამთავრებიდან მეორე დღეს ფაქტობრივად მზად გვაქვს გამოცდების სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც ვანვადით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ასევე ვანთავსებთ უნივერსიტეტის შიდა ქსელში და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მისი ნახვა.

თანამშრომლობის მემორანდუმი ავრჯების უნივერსიტეტთან



bsu.edu.ge

საერთაშორისო ტურისტულ გამოფენის „ექსპო ბათუმი - 2015“ ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და ევრაზიის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა აშკინ ასანმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება მიზნად ისახავს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. მხარეთა შეთანხმებით, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ამოქმედდება გაცვლითი პროგრამები, ჩატარდება ტრენინგები, კონფერენციები და სიმპოზიუმები.

საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ექსპო ბათუმი - 2015“



საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ექსპო ბათუმი - 2015“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტმა ტრადიციულად მიიღო მონაწილეობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დამთვალეიერებლეს უნივერსიტეტის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტური ცხოვრება გააცნეს და ტურისტული პროდუქტები წარუდგინეს. სამდღიანი საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ექსპო ბათუმი - 2015“ სასტუმრო „შერატონ ბათუმი“ იმართება და მასში 9 ქვეყნის 195-მდე კომპანია არის წარმოდგენილი.

მესამე სამეცნიერო კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა თემაზე: „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. განათლების ფაკულტეტის სტუდენტთა და მოსწავლეთა თანამშრომლობის კლუბის მესამე სამეცნიერო სესია სამ სექციაში მუშაობდა და წარმოდგენილი იყო 100-მდე მოსხენება. აჭარის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა სტუდენტებთან ერთად წამოიწიეს ნაიკთხეს პედაგოგიკის, განათლებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აქტუალურ საკითხებზე. კონფერენცია სკოლა „ნიკს“ სპექტაკლ „არგონავტებით“ დასრულდა.






რაცაწი

პოეტი შოთა ზოიძე თანამედროვე ქართული პოეზიის ბათუმში ანთებული შუქია, რომელიც საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან მოჩანს. მის პოეზიას თავის დროზე კარგი მომავალი უწინასწარმეტყველა გამოჩენილმა ლადო გუდიაშვილმა. ჩვენი ქვეყნის ისეთი მოღვაწეები, როგორებიც არიან ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე, ჯანსუღ ლვინჯილია, ოტია ოსელიანი, თამაზ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახაძე, პარმენ ლორია, გიორგი ცაბაძე და ბევრი სხვა, ღირსეულ პატივს მიაგებდნენ. უწინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მისი სახით აჭარაში ეროვნული ცნობიერების გუშავი დაინახა. ჩემი ყურით მომისმენია, ბათუმის საზოგადოებრიობასთან შეხვედრისას, დიდებული გურამ ასათიანის სიტყვები, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა შოთა ზოიძის ლექსების თემატიკური სიახლე და ნატიფი მეტაფორული სახისმეტყველება, რასაც სასიამოვნო მოულოდნელობა უწოდა.

მიუხედავად ამისა, როგორც კრიტიკოსი ჯანსუღ ლვინჯილია შენიშნავს, შოთა ზოიძეს დედაქალაქიდან აკლია ის ყურადღება, რასაც იგი იმსახურებს. ამ აზრს კიდევ უფრო განუმტკიცებს მკითხველს „ინტელექტის“ მიერ გამოცემული მისი ახალი წიგნი, რომელშიც ძირითადად წარმოდგენილია ბოლო ორ-სამ წელიწადში ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში აპრობირებული ლექსები. პოეტის დევიზია ცოტა ლექსი და ბევრი პოეზია. „არმაზის მსხვერვა“ რომ პოეზიით სავსე წიგნია, მკითხველი თავად დარწმუნდება. შოთა ზოიძის ლირიკულ პერსონაჟში მკითხველს შეუძლია ავტორის სულიერი სამყარო ამოიცნოს, რომლის ხვედრითა ცოტა სიხარული და ბევრი ტკივილი. შოთა ზოიძის ლექსებიდან და ასევე ბრწყინვალე ესეებიდან პოეზია მეტაფორაში მოჩანს. სრული ჭეშმარიტებაა. გამოჩენილი თამაზ ჭილაძე მეტაფორას ლექსში ლექსს უწოდებს. ამ აზრისაა ნობელიანტი ბროდსკიც, ხოლო შოთა კი მეტაფორას გულში ახალი სისხლის გადასხმად აღიქვამს.

ერთხელაც საყვედური დასცდა დედაქალაქზე („მე ვერ მოვიგე გული იმისი და ჩემი თავი ვერ შევაყვარე“), რომელიც იქვე მოინანია („მე მაინც მჯერა არ გამიმეტებს, იქნებ იცის და ვეღარ იგონებს, ჩემს მეტაფორებს და ეპითეტებს და გულის სისხლით ნაწერ სტრიქონებს.“). შოთას მეტაფორებს შეუძლია რუსთაველზე ილია ჩამოატაროს და ზამთარში პუშკინის ძეგლთან გენიოსებს ეგუნდავოს. „თოვლი თბილისში“, „ნოსტალგია“, „ძვლებით სავსე ტომარა“, „ჩიტების ორკესტრი“, „მამა“, „ელდორადო“, „ქალი“, „ნუგეში“, „მე ვარ ღარიბი“, „გალმა ნაპირი“, „სანამუსო პერანგი“ და კიდევ ბევრი სხვა, ნებისმიერ ანთოლოგიას დაამევენებს. ამშვენებს კი-

პოეტი ღმერთის პირისპირ ანუ გუცში ახალი სისხლის გადასხმა



დეც. მე ვერ წარმოვიდგენდი მამისადმი მიძღვნილი გალაკტიონ ტაბიძისა და ირაკლი აბაშიძის ლექსების შემდეგ თუ რომელიმე პოეტი შესძრავდა მკითხველს. შოთა ზოიძის „მამამ“ დამსხვრია ეს სტერეოტიპი. ამ ლექსით აღფრთოვანებულმა გიორგი ცაბაძემ მუსიკაც კი დაწერა. არ მახსოვს, ვინ უწოდა შოთას სიყვარულის პოეტი. სიყვარულის ლექსებშიც მიღწეულია მაღალი სინატიფე და ანასეული სისადავე. ეს აზრი დამებდა, როცა „უბე“ ნაეიკითხე. აი ისიც: „გამდნარი ოქროს გუბე, თეთრი მტრედების ზუდე, დამიგე როგორც მახე, შენი ლამაზი უბე, როდესაც დავინახე, მე მაშინ დავილუპე.“

შოთა ზოიძის ლექსებში ქართული პოეზია თავის სიმადლეს ინარჩუნებს. ამ ჩვენს აპოკალიფსურ ყოფაში იმედს აღვიძებს. პოეტი კონვენციური ლექსის ოსტატია. იშვიათად მიმართავს ვერლიბრს, როცა ამას სათქმელი მოითხოვს და იგი თვითმიზნად არასოდეს გაუხდია.

ადამიანები ადვილად ვეგუებით მოდურ სახეებს. პოეტიც ადამიანია და ბევრი მათგანი ვერ ასცდა ამ ცდუნებას. შოთა ზოიძე კი მტკიცედ მიიკვლევს გზას ქართული პოეტური სიტყვის ტრადიციის ერთგულებით და, რაც ძალიან სამართლიანად შენიშნა დიდებულმა ვახტანგ ჯავახაძემ, როცა თანამედროვე ქარ-

თული პოეზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრსა და მის შესაკრავზე საუბრობს: „მე კი ვიცი, რომ ერთი ამათგანია შოთა ზოიძე, თუმცა ვერ გეტყვი - რომელი. აგერ, რამდენიმე ათეული წელიწადია, მისი მელოდია სამხრეთ-დასავლეთიდან მოისმის და ყალბი ნოტი არასოდეს გამოჩნდება, რადგან კარგად იცის, რომ „სიტყვასაც გული ჩიტვით უცემს“ და „ყველგან თან ახლავს სინდისი, როგორც პირადი დაცვა.“ „არმაზის მსხვერვა“ თამაზ ჭილაძის თქმის არ იყოს, ის წიგნია, რომელიც ადამიანში ადამიანურის გადასარჩენად დაიწერა. ასე იყო ადრე გამოქვეყნებულ „უსანქციო სონეტებშიც“, რომელმაც ძალიან მაღლა ასწია ავტორის რეიტინგი და საყოველთაო აღიარება მოუტანა. „არმაზის მსხვერვა“ საშუალებას იძლევა სინამდვილის ანალიტიკური ხედვისა და სინთეზური განზოგადებისათვის. მასში პოეტმა თავისი დრო გამოხატა. ეს უკვე გამარჯვებაა. შოთას დევიზია „სიკვდილივით მძულს ლექსები და სიცოცხლესავით მიყვარს პოეზია.“

„არმაზის მსხვერვაში“ ძირითადად წარმოდგენილია თემატიკურად მრავალფეროვანი, თვითნაბადი და უაღრესად ნატიფი ნიმუშები. „იქნება დროზე ადრე მოვედი, სხვა სამყაროში არ მსურს გადასვლა, ვერ დავამრცხე ჩემში პოეტი, ვერ ავიშენე

ოქროს ქარვასლა,“ იტყვის და თავის ავტობიოგრაფიულ კიდევ უფრო ამძაფრებს - „არეული ვარ გაჭრილ კარტივით და ვგავარ ძველი ალექსის ავტორებს, თუ შეგიძლიათ დამდეთ პატივი, ღმერთის პირისპირ მარტო დამტოვეთ.“ მკითხველმა უთუოდ ამოიცნო პატრიარქის ქადაგებაში გაჟღერებული შოთა ზოიძის მეტაფორები („კი ვარ, უფლის მონა კი ვარ, მგზავრო, შენი სენაკი ვარ, მკერდში გული კიარ მტკივა, გულში საქართველო მტკივა.“). აქ სიტყვათა მინიმუმით მაქსიმალურადაა გახსნილი მაღალი აზრი. ლექსი „საქართველოს რუკასთან“ შაგრენის ტყავივით დამცრობილი სამშობლოს ხატია წარმოდგენილი: „ვერ მოვუარე, ახლაც ვერ ვუვლი, წარსულს - სამცხესთან, ხვალეს - მცხეთასთან. და ვდგავარ შენთან ფერდაკარგული, როგორც ძვირფასი დედის ცხედართან.“ კომენტარი ზედმეტია. სამშობლოს იდეის დრამატული წარმოსახვა, შოთა ზოიძის პოეზიის თანდაყოლილი თვისებაა.

რამდენჯერაც გადაშლით „არმაზის მსხვერვას“, იმდენჯერ ახალს აღმოაჩენთ. განსაკუთრებით იგრძნობა პოეტის თითქმის საკრალური დამოკიდებულება სიტყვასთან. უზადო ქართული და ნატიფი მეტაფორების კასკადი იმის ნიმუშია, რომ პოეტისათვის სიტყვა პირველი იპოსტასია, ზეციური სამება და ფონემური სიმბოლო — ლოგოსია. პლასტიკურია პოეტის ტროპები, ჩვეულებრივ თვალთათვის უხილავი ნიშნების მატარებელი. ვნახოთ ერთი სტროფი ლექსიდან „ვაჟა თბილისში“ - „მთის ყვავილების სურნელი დააქვს, დადის ჭალარით გადავერცხილილი, მალე შემოვა და თბილისქალაქს ნაეკიდება გულზე ცეცხლივით.“ ვნახოთ სხვა მეტაფორებიც: „მოვიდა მარტი, როგორც დალაქი და ზამთარს თეთრი წვერი გაპარსა“, „ატმის ყვავილი შენი ასლია, ატმის ყვავილის შენ ხარ დედანი“, „და ჭორებს, როგორც ფერად აფიშებს, ქარი გააკრავს ფართო შარავზე“, „მოვიდა შუქი და ბნელი ღამე შავი ძაღლივით გააგდო გარეთ“, „სანოლთან მიდევეს დედის სურათი, როგორც ჟანგბადით სავსე ბალიში“, „ღრუბლებში ღმერთებს გაუტყდათ კოკა და ნამოვიდა შხაპუნა წვიმა.“ გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. შემდრამ მეტაფორებმა, სინათლითა და სინატიფით, მოვლენების ეზოთერული ხილვით. მოვუსმინოთ თამაზ ჭილაძეს: „ამ წიგნის ავტორი ეგრეთწოდებული ზეზუურად მცხოვრებ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის... მისი შემოქმედების გაცნობის შემდეგ ისეთ საქმისთვის თავდადებულ ადამიანს დაინახავ, რომელსაც ერთი შეხვედვი-

თაც კი გამოარჩევ უამრავსა და უმრავლადამიანს შორის. მას სხვა დალი აზის სახეზე — ერთგვარი ასკეზის, ანუ საკუთარი ნებით ტანჯვის გზის ამრჩევთა გამოცდობი ნიშანი.“ შოთა ზოიძე იმ გზას ადგას, რომელსაც სულიერად გამოღვიძებული, ინიცირებული ადამიანები ადგანან, რადგან პოეზია გამოღვიძებულთა სიზმარია და ვისაც ამ სიზმრის დასსომება შეუძლია და მერე საკუთარ თავთან დარჩენა და ფიქრი. ეს ის მაღლია, რომელსაც შოთა ზოიძე ჩვენც გვინანობს. ახლახან გავცვანი მისი ლექსების ახალ ციკლს „სიზმრის ქონიდან გამოყოლილი მეტაფორები.“ სამწუხაროა, რომ ეს ლექსები არ მოხვდა „არმაზის მსხვერვაში“. კრებულში არ არის ასევე საანთოლოგიო ლექსი „პატრიარქი აჭარაში.“ მე პირადად შემძრა ამ ციკლმა და განსაკუთრებით მომხიბლა ლექსმა, რომელსაც „პასტერნაკის ძალი“ ჰქვია. ბარაქლა პოეტის კალამს.

როგორი ამინდიც არ უნდა გვედგას, ყოველთვის სამშობლოა მთავარი. იგი ყველა ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას, რადგან თავად არის უაღრესი ჭეშმარიტება. ეს აზრი შოთა ზოიძეს ეკუთვნის. არმაზი დამისხვრა, წარსულს ჩაბარდნენ კერპები და ბომონები, ახალ საქართველოში მართლმადიდებურმა რწმენამ და სიყვარულმა უნდა იზეიმოს: ჩაგვესმის პოეტის ხმა: „მე ვარ მახარობელი, საუკუნე ახლო, მაპოვინე სულიკო, აკაკის რომ ვახარო, ჭალაბა და ბებერი, მე ვარ მახარობელი, დიდებული აკაკის გულის გამხარებელი.“

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სრულიად ვიზიარებ ამ თხუთმეტი წლის წინათ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმულ აღიარებას, რომ შოთა ზოიძე ქართული ლექსის თანამედროვეთა პირველხარისხოვან ოსტატთა რიგებში ჩანს.

„არმაზის მსხვერვა“ ჩვენი სულიერებისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და დაცვის თვალსაჩინო ნიმუშია, რომელშიც დროის სამივე განზომილების - წარსულის, აწმყოსა და მომავლის ორგანული განცდა ვიზუალურად წარმოსახება და ეს სასწაულებრივი უნარი მისი ავტორის „ალტერ ეგო“ ანუ მეორე მეა.

განრიგება ძუთათელაძე P.S. მაღლობს იმსახურებს ბრწყინვალე ფერმწერი და გრაფიკოსი გიორგი წერეთელი, რომელმაც „არმაზის მსხვერვა“ გააფორმა და, რათა თქმა უნდა, გამოცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახაბერ კუდავა, რომელმაც ამ ღუბჭირ დროში უფასოდ გამოსცა პოეტის ახალი წიგნი.

ა.ქ.

რედაქტორი:
იოსებ სანიძე

საუბილინო:
ნესტან მამუჭაძე



saredaqi o kol egia:
nana cecxl aZe, inga Samil iSvil i naTia wkl aSvil i, nino dol iZe murman gorgoSaZe, daviT baraTaSvil i guram Caganava, SoTa mamul aZe gugul i dumbaZe, nugzar RomiZe

გაზეთი დიპაქტა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7